ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

სექტემბერი
№ 9 1977 წ.



საოქტომბრო ვახტზე.

ალექსანდრე საყოვის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (489) სექტემბერი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1977

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დიმიტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის

ჩვენი ცხოვრების
ძირითადი კანონი

წლევანდელი, 1977 წელი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე, საიუბილეო წელია. ამჟამად მთელ საბჭოეთში დიდი შრომითი და შემოქმედებითი აღმავლობაა. საბჭოთა ხალხი აჯამებს სამოცწლიანი შრომისა და ბრძოლის გზას. ახალი კონსტიტუციის პროექტიც ამ სახელოვანი გზის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კულტურული მონაპოვრების გრანდიოზული სურათია.

ახალი კონსტიტუცია რიგით მეოთხეა, რომელიც მემკვიდრეობით ღებულობს წინანდელი კონსტიტუციების იდეებსა და პრინციპებს.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ხაზი ესმება უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მომხდარ ისტორიულ მოვლენებს, საბჭოთა ხალხის უდიდეს წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ხაზი ესმება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ისტორიულ ამოცანებს, ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკას, როგორც თავისუფალი შემოქმედებითი შრომის სრულ გარანტიას, ამიტომ ენიჭება ამ ისტორიულ დოკუმენტს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

პროექტში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმმართველი და ხელმძღვანელი როლის შესახებ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში. აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტია ხალხის ინტერესებსა და საკაცობრიო იდეალებს ემსახურება.

კანონიერ სიხარულსა და სიამაყეს იწვევს კონსტიტუციის პროექტის სიტყვები: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს“.

სსრ კავშირის მოქალაქეები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით იზრდებიან. კონსტიტუციის პროექტიც ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ჰიმნს წარმოადგენს. მასში ხაზგასმულია მოქალაქეთა რასობრივი და ეროვნული თანასწორუფლებიანობა.

საბჭოეთის დიდ ოჯახში შემავალი ერები პატივს სცემენ ერთმანეთის კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, ერთმანეთის მშობლიურ ენას. საბჭოთა სახელმწიფო კანონი ეროვნულ ენას ხალხის ყველაზე დიდ საუნჯედ თვლის და მის ყოველმხრივ განვითარებაზე ზრუნავს. ეროვნული ენებისა და კულტურებისადმი ასეთი ფაქიზი, გულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინური პოლიტიკის ზეიმია.

საბჭოთა ქვეყნის ძლიერება იჭედებოდა სამოქალაქო და სამამულო ომის ფრონტებზე, კულაკობასთან ბრძოლაში, იჭედება ხუთწლედების მშენებლობებზე. კახოვკა, დნეპროჰესის კაშხალი, ვოლგა-დონის არხი, მაგნიტოგორსკის მშენებლობა, ბამის მაგისტრალი, ენგურჰესი და სხვანი და სხვანი ჩვენი ისტორიული გამარჯვებების ნიშანსვეტებია.

პროექტი აკანონებს პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვას პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის.

საბჭოთა კანონმდებლობა პიროვნების ინტერესთა სადარაჯოზე დგას — სახელმწფო პიროვნებისათვის და პიროვნება სახელმწიფოსათვის, — ასეთია ჩვენი დევიზი.

კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს მინიჭებული აქვთ ყოველგვარი ადამიანური უფლება: შემოქმედებითი მოღვაწეობისა თუ კულტურული დასვენებისა, განათლების მიღებისა თუ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა.

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს ისტორიული ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა დასაცავად, ბუნებისა და მისი სიმდიდრის დასაცავად.

კონსტიტუციის პროექტი მიზნად ისახავს შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის ფართო მასშტაბებით გამოვლენა-გამოყენებას.

კონსტიტუციის პროექტი კიდევ ერთხელ ადასტურებს პარტიის სახელმწიფოებრივ ზრუნვას ხელოვნებისა და მწერლობის შემდგომი აღმავლობისათვის. ასეთი შეუნელებელი ყურადღება და ინტერესი შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი კიდევ უფრო ინტენსიურსა და ცხოველმყოფელს ხდის საერთო შემოქმედებით ატმოსფეროს და ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის რაზმავს მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა მრავალათასიან არმიას.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა-ყოველთვის იყო, არის და იქნება პარტიისა და ხალხის სულისკვეთების გამომხატველი, სახალხო იდეალებისათვის მებრძოლი აქტიური ავანგარდი. ცხოვრების გმირები ლიტერატურის გმირები ხდებიან. ქართველი მწერლების მიერ შექმნილი ნარკვევები, მოთხრობები თუ ლექსთა ციკლები თანამედროვეობის მთავარ პათოსს გამოხატავენ, მშვიდობიანი შრომის სილამაზეს, დღევანდელი და ხვალინდელი დღის რწმენას ემსახურებიან.

ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე აღნიშნა: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის, მშენებარე კომუნიზმის კონსტიტუციის მიღება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიული მოვლენა, არამედ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაც იქნება. მისი ხორცშესხმა ღრმა და ხანგრძლივ გავლენას მოახდენს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც“.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობა ზავის დეკრეტით დაიწყო. ამ დღიდან მოყოლებული საბჭოთა ქვეყანა მშვიდობის ურყევი ბურჯია.

საბჭოეთმა იხსნა მსოფლიო ფაშიზმის მონობისაგან!

კონსტიტუციის პროექტში სიამაყის გრძნობით ვკითხულობთ ასეთ სიტყვებს: „საბჭოთა კავშირში ომის პროპაგანდა კანონით იკრძალება“.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ლენინური იდეების ზეიმია, გონიერების, კაცთმოყვარეობის, სამართლიანობის, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის ზეიმი. მისი გაცნობისას ერთი უმთავრესი აზრი გეუფლება: ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანთა კეთილდღეობისათვის!

შოთა ნიშნიანიძე

# გვიხმობს დედა სამშობლო

მეამაყება! ამ გრძნობას სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ? დიახ, მეამაყება, რომ სვანეთის შორეულ მთებში მე, რიგითი მეცხოველე, ჩვენი დიადი ქარტიის — ახალი კონსტიტუციის განხილვაში ვიღებ მონაწილეობას.

ნათქვამია, სიხარულს სიხარული მოსდევსო. ჩემს მეგობრებთან ერთად კვლავ სიამაყის და სიხარულის გრძნობით ავივსე, როცა სვანეთში მოვიდა ამბავი, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს.

ადამიანი, რომელიც დიდი ლენინის მიერ დაარსებულ პარტიას ხელმძღვანელობს, რომელმაც მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურიც გახდა. ცხადია, ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენს წინსვლასა და აღმავლობას, მშრომელთა სიკეთეს, ქვეყანაზე მშვიდობის განმტკიცებას, კომუნიზმის მწვერვალებთან მხრებგაშლილ მიახლოებას.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თითოეული მუხლი, მისი თითოეული სიტყვა ადამიანის სიკეთეზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, ადამიანის მიმართ შეუნელებელ ზრუნვაზე, ფიქრზე, სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებაზე ღაღადებს. დარწმუნებული ვარ, ყველა მშრომელის ფიქრსა და მიზანსწრაფვას გამოვხატავ, თუ ვიტყვი: მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია — ახალი ძალითა და ენთუზიაზმით გვავსებს საბჭოთა ხალხს!

რა გითხრათ? ზღვაში წვეთი წყალი თითქოს არაფერია, მაგრამ ზღვა კი არა, თვით უკიდეგანო ოკეანეც ხომ სწორედ ამ თითქოსდა უმნიშვნელო წვეთებისაგან შედგება! მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ასეთი წვეთი მეც ვარ — ჩემს მეგობრებთან ერთად!

ამ ორიოდე წლის წინათ მესტიის საშუალო სკოლა დავამთავრე. მუშაობა დავიწყე მესტიის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. ახალგაზრდები ერთმანეთს საიმედოდ ამოვუდექით მხარში და კომკავშირული რგოლი ჩამოვაყალიბეთ.

თავდადებული შრომისაკენ გვიხმობს დედასამშობლოს სიყვარული, თავისუფლების, სიხარულის, აყვავების, აღმშენებლობის დიდი ქარტია — საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია!

იზა იოსელიანი,
მესტიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.



სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ ეტაპზე, როცა სოციალიზმი უკვე თავის საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან.

# ახალი შთაგონების წყარო

მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელებში შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის (1977 წ.) გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

ჩვენი ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის პროექტში მკაფიოდ აისახა ის ღრმა ცვლილებები, რომლებიც ჩვენს სამშობლოში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილი ორმოცი წლის მანძილზე.

ახლა მთელ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ხალხის ხელისუფლების ლენინური პრინციპებისადმი ერთგულებას, იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ნამდვილად მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადაჭრაში.

განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ სწორედ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების საიუბილეო წელს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ ვიღებთ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას.

აფხაზეთის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩაბმული არიან გმირული შრომის ფერხულში. მათ წარმატებით გაართვეს თავი მეათე ხუთწლედის სამეურნეო ამოცანებს და ფართოდ გამოეხმაურნენ რა. რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს შორის“ ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

მუშები, კოლმეურნეები, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები ახალ წარმატებებს აღწევენ მეათე ხუთწლედის მეორე წლის ამოცანათა შესრულებაში.

კარგი მაჩვენებლები აქვთ მრეწველობის მუშაკებს. წლის დამდეგიდან გეგმის ზევით რეალიზებულია 5.252 მლნ მანეთის პროდუქცია, რაც გაცილებით ჭარბობს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

სოფლის მშრომელებმა გადალახეს არახელსაყრელი ამინდით გამოწვეული სიძნელენი და თანდათან აძლიერებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპს. მშრომელთა ენთუზიაზმის მკაფიო მაგალითს იძლევა გაგრის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომლის პარტიულმა ორგანიზაციამ კონსტიტუციის პროექტის განხილვისას გადაწყვიტა, რომ ხუთწლედის ორი წლის გეგმა პირველი სექტემბრისათვის შეასრულოს.

წარმატებით აიღეს სტარტი აფხაზეთის მეჩაიეებმა. მათ გადაწყვეტილი აქვთ, პირნათლად შეასრულონ დიდი ოქტომბრის იუბილესათვის აღებული სოციალისტური ვალდებულებანი და სამშობლოს მისცენ 67 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ახალი კონსტიტუციის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის — ყველა საფეხურის საბჭოების ფორმირებისა და საქმიანობის პრინციპების შემდგომ განვითარებას. დიდდება მათი როლი საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

მიმდინარე წლის 19 ივნისს აფხაზეთის რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა ადგილობრივი საბჭოების 5262 დეპუტატი. ისინი არიან მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. საბჭოების აღმასკომებმა რაც შეიძლება სრულად უნდა გამოიყენონ მათი გამოცდილება, ცოდნა და ენერგია, რათა უზრუნველყონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მრავალფეროვან და რთულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა.

ბოლო ხანებში აფხაზეთში დაისახა პოზიტიური ძვრები ადგილობრივი საბჭოების როლის გადიდების, მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში. ეს შესაძლებელი გახადა იმან, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად. საბჭოები ახლა უფრო აქტიურად წყვეტენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს.

გეგმაზომიერად ხორციელდება ამომრჩეველთა მიმართ საბჭოებისა და დეპუტატების ანგარიშგების დემოკრატიული პრინციპი, აღმასკომები სესიებზე რეგულარულად აცნობენ დეპუტატებს სესიებს შორის თავიანთი მუშაობის შედეგებს. დეპუტატთა სტატუსის კანონის მიღებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდდა ხალხის რჩეულთა როლი და სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

საბჭოების სესიებზე დეპუტატები აყენებენ მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს. მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება და ხარვეზია.

საბჭოები თავიანთი რწმუნებულების ფარგლებში ყოველთვის როდი ახერხებენ ქმედით კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ კანონმდებლობას მათ ტერიტორიაზე განლაგებული და ზემდგომ დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, არ ახდენენ საჭირო კოორდინაციასა და კონტროლს არ უწევენ მათ საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

ახალი კონსტიტუცია განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და საპატიო მოვალეობებს აკისრებს საბჭოებსა და სახალხო დეპუტატებს. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა საბჭოების უდიდესი როლი თანამედროვე ეტაპზე, კერძოდ, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის ბრძო-

# ხალხის გულისთქმა

მშრომელთა განსახილველად სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად, გალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადი შემადგენლობის სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია.

ახალი კონსტიტუციის პროექტში მკაფიოდ აისახა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება. პროექტში ხაზგასმულია, რომ კანონების დაცვა სახელმწიფოს ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქის მოვალეობაა, რომ კანონი მთელი სიმკაცრით სჯის ყველას, ვინც არღვევს სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებს, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინურ ნორმებს, მოქალაქეთა უფლებებს.

ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელშიც ხალხის გულისთქმა სრულყოფილად არის ასახული, გალის შინაგან საქმეთა მუშაკები ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, მეტი ოპერატიულობით დავირაზმოთ მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულებრივ ქმედებათა აღმოსაფხვრელად. რაიონის მშრომელები კარგად გრძნობენ, რომ მათ უსაფრთხოებას ფხიზლად იცავს მილიცია. ყოველივე ეს კი ჩვენი მუშაობის შემდგომი განმტკიცების, მართლწესრიგის დარღვევათა აღმოფხვრისა და საიუბილეო თარიღისადმი სანიმუშო მაჩვენებლებით შეხვედრის მტკიცე და აუცილებელი პირობაა.

**გივი ქარდავა,**

გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი

# ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

ლაში, პარტიის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამას შესრულებაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში. ლეონიდ ილიას ძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებებს, მისი როლის გადიდებას ყველა მთავარი მიმართულებით უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაძლიერებაში.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მაგალითისამებრ, განიხილა საკითხი და მიიღო დადგენილება, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ამოცანათა შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია მათი საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული მიმართულებანი.

კონსტიტუცია ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია, ჩვენი გმირული ისტორიაა. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც ჩაწერილია, რომ სახელმწიფო მთელი თავისი ძლიერებით დგას მშრომელი ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე, პიროვნების ინტერესთა სადარაჯოზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თვით პიროვნება კისრულობს ყველაზე მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობას — იყოს თავისი სახელმწიფოს ღირსი.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ახალ კონსტიტუციას სრული მოწონებით შეხვდებიან და მხარს დაუჭერენ არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ამკვიდრებს მშვიდობას მთელ მსოფლიოში. მასში არის სპეციალური განყოფილება „საგარეო პოლიტიკა", რომლის მთავარი აზრი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა თანამიმდევრულად ატარებს მშვიდობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, აღვსილი ვართ სიამაყის გრძნობით იმის გამო, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომლის დროშას აწერია ლენინის სიტყვები „მშვიდობა — ხალხებს!", მშვიდობის ბურჯი და მედროშეა მთელ მსოფლიოში.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განყოფილებაში „სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი" განმტკიცებულია კანონის წინაშე საბჭოთა ადამიანების თანასწორობის ზოგადი პრინციპი, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა — სქესობრივი, რასობრივი თუ ეროვნული განსხვავებისა.

თითოეული მშრომელი, ჩვენი სახელმწიფოს თითოეული მოქალაქე სამუდამოდ უზრუნველყოფილია შრომის, დასვენების, სწავლისა და სხვა უფლებებითა და პირობებით. თითოეულმა მათგანმა იცის, რომ ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იცხოვრო იმის მტკიცე რწმენით, რომ არავინ არ შეიძლება დარჩეს უმუშევარი, არ ჰქონდეს საცხოვრებელი ბინა, მოკლებული იყოს განათლებასა და სამედიცინო დახმარებას, საკუთარი კულტურული დონის ამაღლების შესაძლებლობას.

კონსტიტუციის პროექტში დიდი ადგილი უკავია სსრ კავშირის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი წყობილების საკითხებს. იქ აღნიშნულია, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები, საერთო-სახალხო სახელმწიფო გახდა, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ამასთან შემდგომშიც შენარჩუნებულ იქნება სსრ კავშირის ფედერაციული წყობილების ყველა ძირითადი ნიშანი, რომლებმაც ცხადყვეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა. ეროვნული სახელმწიფო წყობილების საკითხების გადაწყვეტას უზრუნველყოფს ნამდვილი დემოკრატიული წყობილება, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესთა და მისი შემადგენელი თითოეული რესპუბლიკის ინტერესთა შეხამება, ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი აყვავება და მათი განუხრელი ურთიერთდაახლოება. ამას დამაჯერებლად ადასტურებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების პრაქტიკა, მისი ყოფნა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, მისი მჭიდრო დაახლოება ყველა მოძმე რესპუბლიკასთან, რომლებიც ერთიან ოჯახს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შეადგენენ.

ინდუსტრიული განვითარების შედეგად აფხაზეთის რესპუბლიკაში შექმნილია მრეწველობის ელექტროენერგეტიკული, ქვანახშირის, ხეტყის, ხისდამამუშავებელი დარგები, ვითარდება ხელსაწყოთმშენებლობა და ქიმიური წარმოება; ძირეული ცვლილებები განიცადა სოფლის მეურნეობამ.

ამჟამად აფხაზეთში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ საკავშირო ჯანმრთელობის კერას, მოქმედებს 60-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი და ტურისტული ბაზა.

გრანდიოზული ცვლილებანი მოხდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამდე განათლებაზე სულ ერთი მეოთხედი კაპიკი იხარჯებოდა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უწიგნური იყო, დღეს საქართველოს სსრ-ის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო ცენტრია. განვითარების ახალ გზას განვლის აფხაზურმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ძალზე კარგად არის ნათქვამი ენების შესახებ, კერძოდ, სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუცია აცხადებს არა მარტო ეროვნულ ენათა თანასწორობას, არამედ სწავლის, სამეცნიერო შრომების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის შესაძლებლობას მშობლიურ ენაზე. ყოველივე ამან თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

კულტურული რევოლუციის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია ეროვნული ინტელიგენციის კადრების შექმნა. ყოველ ათას მოქალაქეზე უმაღლესი და საშუალო განათლების ადამიანთა რიცხვის მიხედვით აფხაზეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ოც ავტონომიურ რესპუბლიკას შორის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აფხაზმა ხალხმა, რომელსაც მეფის წყობილების დროს სრული გადაშენება ემუქრებოდა, სოციალისტური ერის ყველა ნიშანი შეიძინა.

ახალი კონსტიტუციის მიღება, როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იგი ჩვენი ლენინური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი გახდება კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ბაგრატ შინკუბა,
აფხაზეთის სახალხო პოეტი.

# რამდენიმე მოსაზრება

ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ყოველი ახალი კონსტიტუციის მიღება ახალი ეპოქის დასაწყისია; იგი მოწმობს, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა სერიოზული ძვრები, დამკვიდრდა სიახლე და ამ ახალს ფორმაც შესაფერი უნდა მიეცეს, დაკანონდეს და ყველასთვის სავალდებულო გახდეს. განსახილველი დოკუმენტი, რომელიც სულ მალე ძლევამოსილ საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონად იქცევა, მრავალმხრივ არის საყურადღებო. ამიტომაც ბუნებრივია, რომ იგი როგორც სპეციალისტთა, ისე ფართო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს.

საგულისხმოა, რომ პროექტში, დღემდე მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით, საგრძნობლად არის გაფართოებული მოქალაქეთა უფლებები და აქვეა მოცემული ამ უფლებათა დაცვის საიმედო გარანტიებიც.

პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს კრიტიკის უფლება, რომელიც 49-ე მუხლით არის გათვალისწინებული. ამ მუხლით მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გააკრიტიკოს ნაკლოვანებანი მუშაობაში. ამავე მუხლში ვკითხულობთ, რომ კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია.

კრიტიკა საზოგადოების მაცოცხლებელი ძალაა, მისი წინსვლის უებარი საშუალება. კრიტიკისათვის დევნის აკრძალვა საკუთარი ძალების რწმენას შემატებს მოქალაქეებს, მეტ სტიმულს მისცემს მათ, რათა უფრო აქტიურად ჩაერიონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თამამად ამხილონ შემჩნეული ნაკლოვანებანი.

პროექტის 58-ე მუხლით მოცემულია საჩივრის უფლება. მოქალაქეს შეუძლია გაასაჩივროს თანამდებობის პირთა მოქმედებანი სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა, რომელიც აწესებს, რომ თანამდებობის პირის მოქმედება, ჩადენილი კანონის



# თაოსნობა ფართოვდება

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" მეთაური საწარმოს — კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საგულდაგულოდ მოვლილ და დაწკრიალებულ ეზოში ხალხმრავლობაა.

აქ არიან ჩვენი დედაქალაქის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული რაიონული კომიტეტების, პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ბიუროების წარმომადგენლები, თბილისის მრავალდარგოვან ინდუსტრიულ საწარმოთა მოწინავეები.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში დღეს იმართება სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის თბილისის საქალაქო კომისიის გამსვლელი გაფართოებული სხდომა. ამ სხდომაზე უნდა გაირკვეს ისიც, თუ ვინ გაიმარჯვა დედაქალაქის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც მიმდინარეობს დევიზით: „საწარმოს თითოეულ რგოლს—წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა".

სოციალისტური შეჯიბრების საქალაქო კომისიამ შემთხვევით როდი გადაწყვიტა, რომ თავისი მორიგი გამსვლელი სხდომა ჩარხმშენებლებთან მოეწყო.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა" თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა მეათე ხუთწლედის პირველ წელს. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა 103,2 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გეგმა — 101,8 პროცენტით, ზეგეგმიურად რეალიზებულია 265.000 მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა. კიდევ უფრო ფართოდ და ორგანიზებულად გაიშალა ჩარხმშენებელთა ბრძოლა საიუბილეო წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

მთელი კოლექტივი თავდადებით შრომობს რეალიზაციისა და სასაქონლო პროდუქციის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ზეგეგმიური ჩარხებისა და ახალი მოდელების გამოშვებისათვის, ლითონდამამუშავებელი ჩარხების სტრუქტურის სრულყოფისათვის, ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მოწყობილობების შექმნისა თუ შრომისნაყოფიერების გაზრდისათვის.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქარხნის ეზოში მოწყობილი სტენდები, რომლებზეც ექსპონირებული იყო თბილისის სხვადასხვა საწარმოთა მიერ გამოშვებული საუკეთესო პროდუქციის ნიმუშები.

ისინი ყურადღებით გაეცნენ აგრეთვე დამხმარე საამქროებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების კორპუსს, სპორტულ ნაგებობებს.

ყველგან და ყველაფერში იგრძნობა წარმოების მაღალი კულტურა, სანიმუშო დისციპლინა, შრომის პირობებისა და საწარმოო ესთეტიკის მკვეთრი ამაღლება.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საიმედო წინაპრობას, საფუძვლიან დასაყრდენს ქმნის ახალი შრომითი მიღწევებისათვის, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სტუმრების მიერ ნახულმა, გაგონილმა და განცდილმა ერთხელ კიდევ ნათელყო, როგორი წვლილი შეაქვს საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის დიმიტრი კიკნაძის, მთავარი ინჟინრის მიხეილ წერონძის, პარტკომის მდივნის გოჩა ვეფხვაძის, დირექტორის მოადგილის პავლე ჩიგოგიძის, დირექტორის თანაშემწის ბორის პაიჭაძის, ყველა მუშის, მრავალრიცხოვანი კოლექტივის თითოეული წევრის მოუღლელ შრომას იმ თვალსაჩინო მიღწევებში, რომლითაც, ჩარხმშენებლებთან ერთად, მთელი რესპუბლიკაც ამაყობს!

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის სხდომა, რომელიც გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თენგიზ მენთეშაშვილმა, ყველა დამსწრესათვის ახალი გამოცდილების შეძენისა და ცოდნის ამაღლების დიდი სკოლა იყო. სხდომამ ნათელყო რამდენად აუცილებელი, დროული და ცხოველმყოფელია მოძრაობა დევიზით: „საწარმოს ყველა რგოლს—წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა!"

სხდომაზე გამოსულთა სიტყვას ნათელ ზოლად გასდევდა მოსაზრება, რომ მაღალი დისციპლინა, პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, ყველა რეზერვის ამოქმედება, წარმოების კულტურის ამაღლება დასახული მიზნის წარმატებით დაგვირგვინების უტყუარი გარანტიაა.

ეს გარანტია ფართოდ უნდა აიტაცონ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმა, სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „საწარმოს ყველა რგოლს წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა" — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ყველა მშრომელის საიმედო ბურჯი და დასაყრდენი უნდა გახდეს.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე დღეისათვის რაიონის ჩარხმშენებლები გამოვიდნენ.

გამსვლელი სხდომის ნაქმიანმა, ღრმა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების ნიშნით წარმართულმა მუშაობამ ახალი შრომითი ენთუზიაზმით აღავსო ჩვენი დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივები.







● ქარხნის ეზოში.

● სტუმრები
ათვალიერებენ
ჩარხს.

● სხდომათა დარბაზში.

სერგო ედიშერაშვილის
ფოტო.

## სიყვარული

არ არსებობს სახოვება
უფრო მეტი იმაზე,
როცა სატრფოს ტურფა თვალებს
აელვარებს სინაზე!

არ არსებობს სახოვება
ქვეყნად უფრო ტკბილი,
როცა კისერს პაწაწინა
ხელებს მოგხვევს ჩვილი!

მე არ ვიცი ნეტარება
უფრო ტკბილი მაშინ,
რომ პირველად „დედას" იტყვის
მობაბაჯე შენი პირმშო ბავშვი!

სიხარულიც არ არსებობს
უფრო წმინდა იმაზე,
რომ ჩამოსულ დედას ნახავ
შენთან მოსულს ბინაზე!

ქვეყნად ისეთს ვინ განიცდის
თრთოლვას მწველს და კეთილს,
როცა სისხლით, ცრემლით ნაწერს
ლექსს დაუხვავ წერტილს!..

მე არ ვიცი სიამისა
განცდა უფრო დიდი,
როცა გრძნობ რომ შენს ქვეყანას
ძილი ალხენს მშვიდი!

როცა დილა თვალებს ახელს,
უკან იხევს წყვდიადი
და სამშობლოს უმკობს სახეს
ვარდისფრად განთიადი!

მაგრამ არის კიდევ ერთი
გრძნობა უდიადესი!
არ არსებობს მასზედ მეტი
განცდა უნეტარესი —

რომ თვით ღმერთი შენში წირავს,
რომ შენს მამულს შენს თავს სწირავ
და მას ჩუმად ეთხოვები
უკანასკნელ ალერსით!

კოლაუ ნადირაძე

დარღვევით, რამაც მოქალაქის უფლებების შელახვა გამოიწვია, კანონით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრებული იქნას სასამართლოში. ადმინისტრაციული დავების სასამართლო წესით განხილვა, რაც პროექტს პირველად შემოაქვს ჩვენს კანონმდებლობაში, ახალ პერსპექტივებს შლის საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის წინაშე. რაღა თქმა უნდა, სასამართლოში დავის განხილვის დროს მოქალაქეს მეტი გარანტია ექნება დარღვეული უფლების აღდგენისა. ეს წესი გამაფრთხილებელ ზემოქმედებას მოახდენს აგრეთვე თანამდებობის პირებზე და შეამცირებს მათ მიერ კანონიერების დარღვევას.

პროექტში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი კანონიერების პრინციპს. მე-4 მუხლის ძალით საბჭოთა სახელმწიფო, ყველა მისი ორგანო მოქმედებს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას. განსაკუთრებით არის ხაზგასმული ის გარემოება, რომ სახელმწიფო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან დაიცვან საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია და სხვა კანონები.

კანონიერების პრინციპზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ პროექტის 172-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის მქონეა. ყველა კანონი და სახელმწიფო ორგანოთა სხვა აქტები გამოიცემა კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად. არც ერთი კანონი ან სხვა სახის ნორმატიული აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, რომელიც ქვეყნის ძირითად კანონს წარმოადგენს.

პროექტში ყურადღებას იპყრობს მე-20 თავი — სასამართლო და არბიტრაჟი. ეს თავი იწყება იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპით, რომ მართლმსაჯულებას საბჭოთა კავშირში ანხორციელებს მხოლოდ სასამართლო. აქვეა ჩამოთვლილი ის სასამართლო ორგანოები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოქმედებენ. საგულისხმოა, რომ ამ ჩამოთვლაში ვეღარ ვხვდებით მითითებას სპეციალურ სასამართლოებზე, 1936 წლის კონსტიტუციის 102-ე მუხლით რომ არის გათვალისწინებული.

პროექტის 154-ე მუხლი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს ალიარებს. მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომელიც ლაპარაკობს მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე თ ა დამოუკიდებლობაზე, პროექტში ნათქვამია, რომ მოსამართლეები და ს ა ხ ა ლ ხ ო მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებში მოქმედი კონსტიტუცია სახალხო მსაჯულებსაც გულისხმობს, პროექტის ეს დაზუსტება უთუოდ მნიშვნელოვანია, რადგან თავიდან აგვაცილებს ზოგიერთ გაუგებრობას. ამიერიდან არავის ეჭვი არ შეეპარება, რომ არა მარტო საკუთრივ მოსამართლენი არიან დამოუკიდებელნი, არამედ სახალხო მსაჯულებიც არავის არ ემორჩილებიან, გარდა კანონისა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეს ემსახურება. მართლმსაჯულების სწორად განხორციელება არსებითად ჭეშმარიტების დადგენას გულისხმობს, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფაქიზესი და ურთულესი საქმეა. იმისათვის, რათა ჭეშმარიტება დაადგინოს, სასამართლო უნდა მოქმედებდეს შინაგანი რწმენით და ეყრდნობოდეს მხოლოდ კანონს. მაგრამ ამ პრინციპის დაკანონება არაფერს არ მოგვცემს, თუ მას თან არ ახლავს სათანადო გარანტიები. ეს გარანტიები კი მრავალგვარია. ძირითადი გარანტიები პროექტში პირდაპირ არის გათვალისწინებული. მაგალითად, პროექტის 151-ე მუხლში ლაპარაკია მოსამართლეთა არჩევის შესახებ, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტიაა. ასეთივე გარანტიას წარმოადგენს სახალხო მსაჯულთა არჩევითობა. სახალხო მსაჯულები, როგორც ცნობილია, არ არიან პროფესიული მოსამართლენი. ისინი საზოგადოების წარმომადგენლები არიან და მათი სახით საზოგადოება კონტროლს უწევს სასამართლოს მუშაობას. ცნობილია, რომ მოსამართლე, რაც არ უნდა იყოს, მაინც შეზღუდულია სასამართლო უწყებით და მიუხედავად იმისა, რომ არჩეულია ხალხის მიერ, ის შეიძლება გარკვეული ზომით დამოკიდებული იყოს სასამართლოს ხელმძღვანელობაზე ან ზემდგომ სასამართლოზე. სახალხო მსაჯულები კი სასამართლოს მუშაკები არ არიან და კონკრეტული საქმის განხილვის დროს სასამართლოში რაიმე შეზღუდვას სამსახურებრივად არ განიცდიან. მაგალითად, თუ მოსამართლეს განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმება ნაკლად ეთვლება, ეს გაუქმება ვერ იმოქმედებს სახალხო მსაჯულთა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ მსაჯულები მეტ სითამამეს, გამბედაობას და პრინციპულობას გამოიჩენენ საქმის განხილვის დროს.

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ზღუდავენ სასამართლოს დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პრესა. პრესა ზოგჯერ უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასამართლოს საქმიანობაზე და ვიდრე სასამართლო განაჩენს გამოიტანს, ქმნის საზოგადოებრივ აზრს და ზოგჯერ პირდაპირ აცხადებს ხოლმე დამნაშავედ ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ ბრალდებულია, ან მხოლოდ სასამართლოშია მიცემული. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო შეიძლება მოექცეს პრესის ზეგავლენის ქვეშ. სასამართლო რომ დავიცვათ უარყოფითი ზეგავლენისაგან, პირდაპირ უნდა აიკრძალოს საქმის ირგვლივ პრესაში კონკრეტული დასკვნების გაკეთება მანამ, სანამ განაჩენი არ გამოვა, თუ, რასაკვირველია, არ არის ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა, როცა წინასწარ გამოძიებაში ან სასამართლოში კანონი აშკარად ირღვევა და ამის გამო გარედან ჩარევა აუცილებელია საქმის ინტერესებისათვის. მართალია, განსახილველ პროექტში ასეთი აკრძალვა პირდაპირ არა გვაქვს, მაგრამ არაპირდაპირ ამასაც გულისხმობს პროექტის 159-ე მუხლი, რომლის მიხედვით არავინ არ უნდა იქნეს ცნობილი დამნაშავედ და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ არ სასამართლოს განაჩენით და სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად. აღნიშნული დებულება საბჭოთა იურიდიული აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა და პირდაპირი შედეგია იმ დიდი საკოდიფიკაციო მუშაობისა, რომელიც საბჭოთა კავშირში 1958 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას ამავე დროს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. ეს განხილვა ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას, რაც ასე აუცილებელია დღეს ჩვენთვის. ღრმად უნდა გვწამდეს, რომ არავითარ საზოგადოებრივ პროგრესზე არ შეიძლება ლაპარაკი ისე, თუ არ გვექნება განვითარებული სამართალი და არ დავამკვიდრეთ მაღალი სამართლებრივი კულტურა.

ოთარ გამყრელიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი.





ძმები ჩიხრაძეები (მარცხნიდან): სერგო, ნიკა, ალიოშა, ლევანი და მიხეილი. მარჯვნიდან პირველი — ალიოშას ვაჟი გიორგი.

მწერალმა გიგა მახვილაძემ ჩვენი რედაქციის დავალებით იმოგზაურა ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და გაეცნო იქ მცხოვრებ ქართველთა საქმიანობას.

თავის ვრცელ ნარკვევში „ყაბარდო-ბალყარელი ქართველები" ავტორი აგვიწერს ჩვენი თანამემამულე მუშების, კოლმეურნეების, შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაყოფიერ საქმიანობას, იმ დიდ წვლილს, რომელიც მათ შეაქვთ ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

ნარკვევის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში, ამჟამად მკითხველებს ვთავაზობთ მის გაგრძელებას, ნარკვევის — „ყაბარდო-ბალყარელი ქართველების" დასასრული კი ჟურნალ „დროშის" უახლოეს მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება.

# ყაბარდო-ბალყარელი ქართველები

●

ყაბარდო-ბალყარეთში ყოფნის დროს ნალჩიკელმა ქართველმა ჟურნალისტმა მიხეილ რეხვიაშვილმა მაცნობა: ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქიდან 110 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი ნოვაია ხაბინია, სადაც ავსტრალიური ჯიშის ცხვრების გამოსაზრდელი საბჭოთა მეურნეობაა; ამ მეურნეობაში თურმე დიდი ხანია მუშაობს ქართველი კაცი, რომელიც ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსია.

მეორე დღესვე გავეშურეთ ნოვაია ხაბინიასკენ. მიხეილ რეხვიაშვილს ნარკვევი უნდა დაეწერა ამ კაცზე გაზეთ „კაბარდინო-ბალკარსკაია პრავდისთვის", მე — ჟურნალ „დროშისთვის". ფოტოაპარატებით შეიარაღებული ორი ჟურნალისტის დანახვაზე ჩვენი მასპინძელი არ გაოცებულა, ეტყობოდა, რომ ჟურნალისტები მისი იშვიათი სტუმრები არ არიან. ზაბათ დღეს მოგვიხდა სერგო ელოშვილთან მისვლა, იმ დროს, როდესაც დამსახურებული ზოოტექნიკოსი თავის ეზოში მესერს აკეთებდა.

სერგო ელოშვილი 1927 წელს დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ ფხელშეში. ექვსი წლის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ ორჯონიკიძეში გადავიდა. იმავე წელს გარდაეცვალა მამა. დაქვრივებულმა თამარმა სამი შვილი გაზარდა. ერთ-ერთი შვილი სერგო ჯერ მშენებლობებზე მუშაობდა, მერე წარჩინებით დაამთავრა ორჯონიკიძის მთიანი ზონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, გადმოვიდა ყაბარდო-ბალყარეთში და უკვე ჩვიდმეტი წელია, რაც საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსად მუშაობს. ესაა და ეს, მეტი ვერაფერი ვათქმევინეთ.

საუბარში სერგოს კარის მეზობელი შემოგვესწრო. როგორც კი სერგომ ბოსტნიდან მოიხადა და ცოტა ხნით მიგვატოვა, მისმა მეზობელმა დრო იხელთა და ახლა იმან მოგვაწოდა რამდენიმე ცნობა.

რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სერგო ელოშვილი თურმე სანაქებო კაცია მეურნეობაში, ყველასთან დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს. ამაში ჩვენც დავრწმუნდით, როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ მეურნეობაში მივედით და ავსტრალიური ჯიშის ვეება ნასუქი ცხვრები დავათვალიერეთ. სერგომ მზრუნველი თვალით შეათვალიერა ცხვრები, მერე ერთ-ერთ თანამშრომელს ჰკითხა, მილიციის წარმომადგენელი ხომ არ მოსულაო. თურმე ბოროტმოქმედებს საბჭოთა მეურნეობიდან ოცდახუთი სული ცხვარი მოუპარიათ. შინაურის ხელი ურევია ამ საქმეშიო, ქართულად გვითხრა სერგომ, მერე დაამატა, სულ ერთია ვიპოვნით, შარშანაც მოგვპარეს ცხვრები, მეურნეობიდან 150 კილომეტრის მანძილზე წამოვეწიეთ ცხვრის ქურდებს; ასეა, ყოველთვის მილიციას სად უნდა ველოდოთ, ჩვენც უნდა მივილოთ ხოლმე სასწრაფო ზომები.

ჩვენი შეხვედრა მალე დამთავრდა. მიუხედავად ამისა, მეურნეობის თანამშრომლებისაგან ბევრი რამ კარგი და საამაყო შევიტყვე ჩვენ თანამემამულეზე. ასეთი საამაყო თანამემამულეები კი ბევრი გვყოლია მოძმე ყაბარდო-ბალყარეთში.

●

ზოგჯერ შორ მანძილზე ეძებ კაცს, ცხვირწინ კი გიდგას და ვერ ამჩნევ. ასე დამემართა მეც. სასტუმრო „ნალჩიკის" წინ ყოველდღე ვხედავდი ათკაციან ბრიგადას, რომელიც მოზაიკურ ფილებს ამაგრებდა შენობაზე. მათი ბრიგადირი თურმე ქართველი ყოფილა. კოტე ჩიქვილაძე, ორი შვილისა და შვილიშვილის პატრონი, მთასავით ვაჟკაცია, სახელოვანი წარსულისა და აწმყოს მქონე.

1942 წელს, როდესაც ფაშისტები ნალჩიკს ტოვებდნენ, ფარულად დანაღმეს უნივერსიტეტის შენობა. მაშინ 16 წლის კოტე ჩიქვილაძემ გზაზე შემთხვევით წამოჰკრა ფეხი მავთულს და მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე. პატრიოტმა ჭაბუკმა, უდიდესი რისკის ფასად, მავთული გაწყვიტა და უნივერსიტეტის შენობა აფეთქებას გადაარჩინა. კოტე ჩიქვილაძეს თვითონ ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. გავიდა ხანი და მიავიწყდა კიდეც. ოცი წლის შემდეგ გაზეთ „კაბარდინო-ბალკარსკაია პრავდაში" დაიბეჭდა წერილი სათაურით „დავიწყებული სახელები", სადაც ამბის ერთ-ერთმა მოწმემ მკითხველებს აცნობა, თუ როგორ გადაარჩინა ქართველმა კოტე ჩიქვილაძემ უნივერსიტეტის შენობა.

ჩიქვილაძის მეფილეთა ბრიგადა ინტერნაციონალურია: მუხამედ ბუზუროვი ყაბარდოელია, აკიმ ხამიდხაევი — ოსი, ნიკოლოზ პრიტვოროვი — რუსი. სხვა ერის წარმომადგენლებიც მუშაობენ ამ ბრიგადაში.

ერთ-ერთი მუშა — ნიკოლოზ პრიტვოროვი მიყვება კოტეზე: ვიცნობ საბავშვო ბაღიდან; 1943 წელს 18 წლისანიც არ ვიყავით, რომ ორივე მოხალისედ წავედით ომში. ერთად ვიბრძოდით ლვოვიდან მდინარე ოდერის გადალახვამდე. მერე კოტე დაიჭრა, ერთი თვე მოსპიტალში მკურნალობდა და ისევ დაბრუნდა 97-ე გვარდიული დივიზიის 292-ე გვარდიულ პოლკში. დრეზდენიც ერთად ავიღეთ. 2 მაისს კოტემ მტრის ორი ტანკი ააფეთქა, რისთვისაც წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოეს. ომის დამთავრების შემდეგ ერთი კვირა კიდევ ვიბრძოდით ჩეხოსლოვაკიაში.

19 წელია კოტე ჩიქვილაძის ბრიგადა წარჩინებით მუშაობს ნალჩიკის ქუჩებსა და პარკებში ასფალტის, მოზაიკური ფილების დაგებაზე და თავისი წვლილი შეაქვს ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქის კეთილმოწყობაში. მეხუთე თანრიგის ოსტატი გახლავთ კოტე ჩიქვილაძე, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ბრიგადირი.

●

მაღალმთიანი რაჭის სოფლებიდან წარსულში ყაბარდო-ბალყარეთში საცხოვრებლად გადასული ქართველები უმეტესად მზარეულები, მეპურეები და დახლის მუშაკები გახლდნენ, მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა კი მეტწილად ფაბრიკა-ქარხნებს, სხვადასხვა დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებს მიაშურეს.

ამ წლის „კაბარდინო-ბალკარსკაია პრავდის" ეგზემპლარებს რომ ვათვალიერებდი, 16 მარტის ნომერში ასეთ ცნობას წავაწყდი: „რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა იანვრისა და თებერვლის გეგმა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ღირსეულ შრომით ვახტზე დგას ნალჩიკის ფეხსაცმლის ფაბრიკა. აქ წარმოების ბევრი მოწინავეა. აი ორი მათგანი — ძმები მიხეილ და სერგო ჩიხრაძეები. უფროსი მიხეილი ფაბრიკაში მოვიდა 17 წლის წინათ. შესანიშნავად აითვისა რამდენიმე რთული პროფესია. კარგი მუშაობისათვის იგი დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშისა და შრომითი დიდების ორდენებით. უმცროსი ძმა სერგო ჩიხრაძე ცდილობს არ ჩამორჩეს მიხეილს".

როგორც მოგვიანებით შევიტყვე, სერგო ჩიხრაძე წარდგენილია ლენინის ორდენზე.

ყაბარდო-ბალყარეთის ცენტრალურ გაზეთში ამ წერილთან ერთად დაბეჭდილია ორივე ძმის ფოტოსურათი.

ცხრა შვილი გაზარდეს მალაქია და ბაბილინა ჩიხრაძეებმა: შალვა, ალიოშა, კლავდია, სერგო, ნიკა, ლევანი, ვანო, ლენა, მიხეილი. მათგან უფროსი შალვა დაიღუპა დიდ სამამულო ომში — სმოლენსკთან ბრძოლებში 1941 წელს. მამა მალაქია, რომელიც ნალჩიკში ქართველების კოლმეურნეობის აგრონომად მუშაობდა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა სამამულო ომში. მალაქია ჩიხრაძეს დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია და საკმაოდ განათლებული ადამიანი გახლდათ. ომამდე ნალჩიკის საქალაქო საბჭოს დეპუტატიც იყო. 1940 წლის 17 აპრილის „კაბარდინო-ბალკარსკაია პრავდაში" მასზე დაბეჭდილია ვრცელი ნარკვევი ფოტოსურათით. მალაქიას მეუღლე ბაბილინა ჩალაძე კოლმეურნე გახლდათ და ცხრა შვილის დედა ბევრს არ უდებდა ტოლს საკოლმეურნეო შრომაში.

მშობლების შრომით ტრადიციებს სახელოვნად აგრძელებენ დარჩენილი შვილები: ექვსი ძმა და ორი და ჩიხრაძეები. ნიკა ცნობილი მექანიზატორია, ვანო მშენებელი, სერგო და მიხეილი, როგორც მოგახსენეთ, ოსტატები არიან ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ლევანი სპორტის ოსტატია ავტორბოლაში. ყაბარდო-ბალყარეთში ჩემი ყოფნის დროს მან პირველი ადგილი დაისაკუთრა იაროსლავში გამართულ „იუგავტოტრანსის" ჩემპიონატში. ჩიხრაძეების ერთი და კლავდია ქარხანაში მუშაობს, მისი ქმარი ლევან მაღალდაძე 30 წელია მეედლად მუშაობს. ლევანი იმ მაღალდაძის შვილია, რომელიც 14 წელი მუშაობდა ქართველების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ნალჩიკში. ჩიხრაძეების მეორე და დიასახლისია.

ჩიხრაძეები თავიანთ უფროს ძმას ალიოშას ოჯახში მუშური დინასტიის მეთაურად თვლიან.

ალიოშამ ის იყო დაამთავრა საშუალო სკოლა და პედაგოგიური ინსტიტუტის პირველ კურსზე მოეწყო, რომ სამამულო ომი დაიწყო. იგი მოხალისედ წავიდა მოქმედ არმიაში. 1942 წელს დაამთავრა ნოვოჩერკასკის კავალერისტთა სასწავლებელი, მიიღო ოფიცრის ჩინი და ისევ ფრონტზე გაეშურა. მონაწილეობას იღებდა კავკასიის დაცვის ბრძოლებში; როსტოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. შემდეგ რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიიღო.

დემობილიზაციის შემდეგ ალიოშამ ქართველების კოლმეურნეობას მიაშურა, ომში დაღუპული მამა შეცვალა. მუშაობდა აღმრიცხველად, შემდეგ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნადაც აირჩიეს. დღეს იგი საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს და თავისი საქმიანობით ბევრისთვის მისაბაძია.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავი. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები ღირსეულად ხვდებიან ამ ღირსსახსოვარ თარიღს. სასიამოვნოა, რომ მათ შრომით მიღწევებში თავიანთი წვლილი იქაურ ქართველებსაც შეაქვთ.

გიგა მახვილაძე

სერგო ელოშვილი ამოწმებს მატყლის სისქეს. შუაში ნიკა ჩიხრაძე.





## ევა შტრიტმატერი

გერმანელი პოეტი

□ □ □

ღიმილი, რომელიც
გულისხმობს სხვას,
ჩვენს პატივმოყვარე
ცხოვრების გზას,
ტირილი,
რომელიც მისტირის სხვას
და არა წუთისოფლის
წუთიერ გზას,
წუთი,

როდესაც
ვუსმენდით სხვებს,
ეს იყო
ყველაზე [illegible] ღი-
სიმფიდე,
რომელშიც
ვეძებდით ხსნას,
ეს იყო ჭარბი
სიცოცხლის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მოვალეობა

მოვალეობას
ადამის მოდგმის
ვიცავ პირნათლად,
მე ვეფერები მზეს,

არცა როდის
რომ რა დავაკლო
ვინმეს სინათლე.

### საიდან წარმოდგება ჩემი სიმღერა

ჩემი ყოველდღიური სამსახური
ეს არის ფუსფუსი არნახული,
პირსაბანის გახეთქა,
ხალათების
დაკემსვა,
გარეცხვა, განახლება,
სახეზე შეუშრობი

ღიმილით, სიცილით
ყოველდღე სიყვარულის
მტკიცება, ფიცილი,
ასე იბადება
ლამაზი სიმღერა,
რომელიც ყოველდღე
გულიდან იღვრება.

### მ ო დ ა

არ მეპრიანება, მამცირებს მტანჯავს —
ფულის ტანსაცმელში უზომოდ ხარჯვა.
თითქოს ქვეყანაზე იმისთვის გაჩნდით,
ერთმანეთს დავუბრმავოთ თვალები ჩაცმით,
ზოგი ფუქსავატობს, არ უყვარს გარჯა,
საკუთარ თავზე მთელ დღეებს ხარჯავს.
ზოგს კოხტაპრუწობა ოდითგან მოსდგამს,
გადაყოლილნი არიან მოდას,
სურთ ყოველ წელიწადს იცვალონ ფერი,
არა აქვთ ბუნებრივი თმის ერთი ღერიც.
შვენით თუ არ შვენით, ირგებენ პარიკს,
წინასწარ იციან მოიქცნენ რარიგ,
ეთაყვანებიან ფეხსაცმლის ქუსლებს,
რომელიც მოდაში შემოდის უცებ!
ვიღაცის ხელი შორიდან მართავთ,
სხვის აზრს, სხვის ფიქრებს ბაძავენ მძაფრად!
ლაპარაკობენ ვიღაცის ენით,
თავს იზლუდავენ ვიღაცის ხელით.
ვერ გაუბედიათ, შიში კლავთ ლამის,
იმადვე დარჩნენ, არიან რანიც.

### პ უ შ კ ი ნ ი

(მოგონება ყაზბეგზე)

მყინვარი სიგრილეს
მაგებებს ისევ,
ყაზბეგის წყაროს
წყალი მალვიძებს.
თერგი არემარეს
ღრიალით იკლებს,
იგონებს პუშკინის
სიმღერებს საკვირველს.
ის კი დგას ყაზბეგის
მწვერვალის ძირში,
როგორც ქანდაკება,
არყის ხის ჭალაში
ყურს უგდებს ნამგზავრი
მწყემსების ყიჟინს.

მთაზე რომ მისდევენ
ცხვრის ფარას გადაშლილს.
მიდიან მანქანები,
ურმები, ცხენები,
მიდიან ჩრდილოეთით,
არ უჩანთ ბოლო,
მიდიან მდუმარედ,
ვით მოჩვენებები,
თეთრი მყინვარწვერი
არ იძვრის მხოლოდ.
ო, აქ ჩაიარა პუშკინმა ერთ დროს
ამ ხიფათიან გზებს
ლექსებით ენდო.

თარგმნა
მედეა კახიძემ.



# საქართველოს მგზნებარე მომღერალი




შესრულდა 80 წელი გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილო მოსაშვილის დაბადებიდან. ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა ეს თარიღი. თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ილო მოსაშვილისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო, ხოლო პოეტის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში გაიხსნა ი. მოსაშვილის მემორიალური მუზეუმი.

ვაქვეყნებთ მწერალ ელგუჯა მაღრაძის წერილს ილო მოსაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ეს არც მოხსენება გახლავთ, არც სიტყვა. აქ გამოთქმული აზრები უმეტესწილად ფიქრებია, ილო მოსაშვილის გამო გულში ელვასავით გაკრთალი და გონების ქურაში გადატეხილი.

ილო მოსაშვილის სახელი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ პოეტთა და მწერალთა თანავარსკვლავედში არის შერაცხული...

ვინ იყო ილო მოსაშვილი? ერთ დროს უიმედობის ჭვარზე გაკრული, ურწმუნოების სატანჯველგამოვლილი, ცხოვრებით სასოწარკვეთისაგან თავდახსნილი, — გვატყობინებს თვითონ. უხნავ, უუ მიწაზე ამაყად მავალი, ბევრი ყამირის გამტეხი, სარეველას ბოლომდე ამომძირკველი და ხნულის ბოლომდე გამტანი, ბევრჯერ პირქვე ჩამხობილი და კვლავ ფეხზე წამომდგარი პოეტი. დიდი ვაჟა-ფშაველასაგან თავზე ნათლისღების წმინდა წყალნაპკურები, სამშობლოზე ულევად შეყვარებული მიჯნური, მისი აწმყოსა და მომავლის მეტრფე მგოსანი.

ახალგაზრდა ილო მოსაშვილი თამამად შეიჭრა ბუნების საუფლოში. პირველ ხანებში პოეტური სულის კირთება, სამშობლოს აღქმა, შეგრძნება და განცდებიც უფრო მჭვრეტელობითი ხასიათის შთაბეჭდილებებითაა ნასაზრდოები, თუმცა პოეტი ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულს, როგორც საკუთარ სისხლსა და ხორცს, ისე განიცდის. ქვეყნის ყოველი მტკაველი მიწა მისი საკუთარი სხეულის განუყოფელი ნაწილია და ქვეყნის უბედურება მისი სულის დამნთქმელი გახლავთ. მალე ილო მოსაშვილმა გამოაქვეყნა ლექსები, სადაც ბუნების აღქმა, წვდომა, გათვისება, ბუნების სურათთა მკითხველისათვის გადმოშლა, უკვე დამჭდარი, გონებისმიერი ხმებითა და განცდებით იყო ნაკარნახევი. იგი ყოველ სიტყვასა და სტრიქონს გულიდან იღებდა, ემბაზში ალივლივებდა, ოქროსფრად ფერავდა და მკითხველამდე ისე მიჰქონდა.

ილო მოსაშვილის იმდროინდელი ლექსებიდან ჩქერალივით იფრქვევა მძაფრი სურნელი ველურ ყვავილთა, იგრძნობა ძალუმი სუნთქვა პოეტისა და ილვრება გულისმომწყვლელი ვარამი, დარდი, სევდა და ნაღველი.

ილო მოსაშვილი იმ დროს გაჩნდა ამ ქვეყანაზე, მეფის რუსეთის ანაზდეული დამხობაც იხილა და ორი საქართველოს შეჯახებისა და შერკინების მოწმეც შეიქმნა. პოეტი იმ გვარ-გუჯაბისა არ გახლდათ, რომ სამშობლო ქვეყნის ინტერესთაგან გარე მდგარიყო. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს განზრახ განერიდებოდა, შორით ხილვითა და ჭვრეტით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ დაიბნა:

„როცა კვდებოდა ავდრიან გზაში ცხოვრება — დიდხნის გასარიყავი, ფრთადალეწილი მიზნებით მაშინ ჩემთვის, უგულოდ, განზე ვიყავი".

საწუთრომ მაშინ ილო მოსაშვილსაც უხვად აგემა ზაკვის გესლი, შხამი და სამსალა.

მერმე დაფასებამ, აღიარებამ და ვაჟკაცურმა შეუვალობამ ვერ დაიხსნა პოეტი მოშურნეთაგან. ეს იყო მაშინ, როს ჩვენი ქვეყნის ლურჯად მოკამკამე ცის თავანზე სავდრო ღრუბლები მოჭარდა და კაენის სულის აღზევება იმ სავდრო ღრუბლებში ელვასავით ერთბაშად გაკრთა, გაიკლაკნა, დაიწყო დელგმა და დაბაღუპად ბევრი გაიწირა.

„გარეთ მხდალი. შინ ძლიერი," — ბრძანა ქართველთ დასახასიათებლად ჩვენი უგერგილობითა და ეკონომიური ულონობით შეშფოთებულმა ილიამ. დიახ, სახელმწიფური, საომარი, სავაჟკაცო და საბრძოლო საგარეო ასპარეზის დაკარგვამ და მოშლამ, ქართველობას ერთ პირზე დგომა სრულიად გადაავიწყა და კიდევ უფრო მეტად გადაჰკიდა გვარტომობით ძმანი ერთურთ. და თუ წინათ „ერთქართველმან ათას მათხა სცის, ორმან წარაქციოს ბევრი", შინა აშლილობის მერმე, ერთმანეთთან ქიშპით დაღალულნი სხვის იმედად ლაფში ჩაფლულ ურემზე გულარხეინად მძინარენი და უქმად მყოფობით დაუძლურებული ჩვენი თვისტომნი, სხვებმა დაქოჩრეს, დაიჩათინეს, ბევრი რამ წაართვეს და იქნებ სამუდამოდაც დააკარგვინეს.

ახალი ერის კვირაძალში გარდუვალი არჩევნის გამო ღრმად შეჭირვებული და ფიქრით მოცული ილო მოსაშვილი სულიერ მხნეობას მოიკრებს და ახალი საქართველოს სინამდვილის მგზნებარე მომღერალი შეიქმნება.

ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს თითქმის მთელი მსოფლიო დაფარა მისტიკურმა ხმებმა. თვითონ ისეთი რაციონალიზმის, განმანათლებლობისა და ათეიზმის ძლიერი ტრადიციების ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მიწურულში მისტიციზმმა წალეკა. დეკადენტი ბოდლერის, სიმბოლისტი მალარმესა და მელანქოლიით აღსავსე ვერლენის პოეზიით მოხიბლული იყო მთელი ევროპა და არამარტო ევროპა. გაჩნდა გამოცანა-რებუსი-ლექსები, პოეზია აივსო თითქოს უაზრო სინამდვილის ამსახველი შეშლილი სუბიექტური სახეებით, სოკოებივით მომრავლდა უსახური გარითმული და თეთრი ლექსები, რომლებიც სიკვდილის, დალუპვის, ნგრევის, რღვევის, ხრწნისა და ლპობის მოტივებით ილებდნენ გარემოს. ამ პოეზიას ყველგან და მათ შორის, ჩვენშიც გაუჩნდნენ მიმდევრები. ილო მოსაშვილი შეცოდებისაგან იხსნა იმან, რომ იგი მკვიდრად აგრძელებდა ქართული კლასიკური, ძირძველი მწერლობის ტრადიციებს. სანთელივით იწვოდა საქართველოს საკურთხეველზე, ცრემლებად იღვენთებოდა და ღვარივით დიოდა სამშობლოს ხატის წინ და წვისას ანთებული კვარივითა და საკმეველივით სასიამოვნო ნაზ სურნელს აფრქვევდა.

ილო მოსაშვილი, როგორც პოეტი მძაფრად შეიგრძნობს თვისტომთა სისხლით უხვად მორწყული მიწის სურნელს, ძველ საქართველოს ოდინდელ დიდებასთან დაკავშირებულ რეალიებს იხსენებს, ოცნების ბურანში ეხვევა და იწყება ნათელხილვა: ნისლში გახვეული გომბორის მთები პოეტს კარის თავნება დარბაისლებს აგონებს. იგი მათ ჭვრეტს გონების თვალით, ყურთასმენას სწვდება დარბაისელთა ბუბუნა ხმები. მერმე მათგან შიკრიკებად გამოგზავნილ მიმომფრენ ანგელოზთა ფრთების შარი-შური შემოესმის. პოეტს ცხადად ეყურება წინაპართა ხმები, ხმები გარდასულ დღეთა, წელთა, საუკუნეთა:

„მთები დამსხდარან, როგორც კარის დარბაისლები და გვიგზავნიან თეთრ ანგელოსებს. შემოხვევია გომბორს ნისლი, ჩვენ — ოცნება საქართველოზე"...

ილო მოსაშვილის პოეზია აღსავსეა ღრმა ლირიზმითა და დიდი მასშტაბურობით. მისთვის უცხო რამ ხილი არ გახლავთ, არც ვეება სოციალური თემები და არც პირადული განცდები:

„შინ კი გელოდა ბალღების ჩქამი, დარდი, რომელიც უზიდავთ მამებს, მშიერი კერა და მისი შხამი შენთვის მოჰქონდა უძილო ღამეს..."

მისი ლექსის ფორმა საოცრად მოძრავი და ღვედივით მოქნილია. რიტმი, აზრთა მდინარების შესაბამისად წამწამ იცვლება და სულ სხვადასხვა მუსიკალურ ჟღერადობას იძენს.

მის პირადულ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ყველაზე უფრო საოცარი და განსაცვიფრებელი ის გახლავთ, რომ პოეტი არასოდეს არ ჩაკეტილა, არ განმარტოებულა, არ მოწყვეტილა გარე სამყაროსაგან. იგი არასოდეს არ ყოფილა საკუთარი განცდებით დანთქმული, პიროვნული ტკივილებით შემოზღუდულ-შემოფარგლული. იგი მუდამ ცხოვრების ფერხულში იყო ჩაბმული.

„რადგან ნათელი ბნელს შეაჯახე, ზაჰეს, დარჩება შენი დიდება, და ცეცხლი, ეხლა რომ გააჩაღე, მთელს ჩემს ქვეყანას წაეკიდება".

ასეთი დიდი სიყვარულით უმღერა პოეტმა ბევრი თბილისისათვის ოქროს ქამრის შემომკვრელს, პირველი ცისარტყელის გამჩენს, სიბნელისათვის გულში ხანჯლის დამცემსა და მუქის მთებზე სისხლად დამაქცევარს — ზაჰესს.

პოეტს სწამდა, რომ ახალი ცხოვრების მშენებლები სასწაულებს მოახდენდნენ:

„... და ლეგა ნისლით, მთა მოლუშული, ჩაჯდება მზის და სინათლის ყდაში და კიდევ ვხედავ: მკერდი მუშური, თერგს მისდგომია ფოლადის რაშით. ვხედავ: ქედები, შუბლდარკინულნი, გადმოიშლება ოქროს მადნებად და დარიალის კლდეთა ყინული ირმის რქესავით თერგში ჩადნება."

ილო მოსაშვილის ლექსებს ჭურვთა, ნაღმთა და ყუმბარათა საშიში ფეთქებადი ძალა გააჩნდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

ილო მოსაშვილის მთელ პოეზიას სილაღისა და სილამაზის ბეჭედი აზის. როგორც ძველი ქართველნი იტყოდნენ „პოეზია მისი სიმაღლედ აღყვანებულ იქმნა". აზრის რომანტიკული ალმაფრენა და ადამიანური გრძნობების ბუნებრივი შერწყმა ანიჭებს მის შემოქმედებას განუმეორებელ ანდამატსა და მომაჯადოებლობას. იგი უმღეროდა ყოველივე იმ კარგს, რაც კი რამ არის ადამიანში კალთამაღლიანი ბუნებისაგან ბოძებული და ღვთაებრივი.

ლექსში „მოგონება" აღწერილია პოეტის სისხლიერი ნათესავისა და სულიერი წინაპრის ვაჟა-ფშაველას სახლში მისვლა და ყრმა პოეტისაგან „ვეფხისტყაოსნის" პირველი ხილვა. პირველი ბავშვური შთაბეჭდილება, თუ როგორ წარუძღვა მზერა ყრმას ვეფხისა და ლომის სიკვდილის სურათმა. როგორ ისხდნენ მერმე ბუხართან ვაჟა, მოგონებათა ავტორი, ზღაპარი ერთად, და ცეცხლის შუქზე როგორ ფურცლავდნენ უკვდავ წიგნს, და როგორ მიიტაცა ლექსის გრძნეულმა ჯადოქარმა ბავშვის გონება, როგორ ხატავდა ბრძენი პოეტი ტარიელისა და ნესტანის კვნესას ბავშვის გულშიაც.

როგორც შემოქმედის, ილო მოსაშვილის სრულყოფილი ხატი არ გვექნება თვალწინ, თუ მარტო მის პოეზიაზე ვილაპარაკეთ. მის დრამატურგიულ ქმნილებებს თავის დროზე დიდი რეზონანსი ჰქონდა ჩვენში. თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს მისი პიესები: „ჩაძირული ქვები", „მისი ვარსკვლავი", „სადგურის უფროსი", „გზა მომავლისა".

ილო მოსაშვილს ქართული სიტყვის საგანძურის უხვად გაცემაშიც ძნელად მოეძებნებოდა ტოლი და ფარდი. მან ჭეშმარიტად იურვა, იუფლა და დაიუნჯა ქართული სიტყვა. იგი კეთილი გულის კაცი იყო და არათუ მოყვასის, მტრის აუგსაც ვერ დააცდენინებდით. ჩასხდომისა და დროსტარების ნამდვილი ტრფიალი გახლდათ. ლაზათიანი პურის გატეხა და დარბაისლური ქეიფის ეშხი და ყადრი იცოდა. მოუღლელი მოცეკვავე იყო, მშვენიერი ხმა ჰქონდა და შესანიშნავი სიმღერა იცოდა. ახოვანი იყო, შავგვრემანი, არწივივით მახვილი მზერა ჰქონდა და მხურვალე გულის პატრონი იყო. ნაცნობ-მეგობართა გამამხნევებელი თანადგომა იცოდა, მიზანსწრაფი იყო და შემართებული. თავს ვაგლახად არავის დააჩაგვრინებდა. სუფრაზე მეტყველი, დინჯი, აწონილ-დაწონილი სიტყვა-პასუხი ჰქონდა. ვაჟკაცური ბუნებისა გახლდათ და ომახიანი სიტყვის თქმა იცოდა. მისი აზრი მუდამ სამშობლო ქვეყნის მწერლობის ოდინდელ დიდებას, აწმყოსა და მყობადს დასტრიალებდა თავს. დიახ, მშობელი ქვეყნისა და ქართული მწერლობის უსაზღვრო სიყვარული, საერთო ადამიანური გრძნობების ღრმა ლირიზმით ხედვა და საკაცობრიო იდეალების მხატვრული ფორმით გადმოცემა აქცევს ილო მოსაშვილს, არა მარტო ჩვენთვის, არამედ მოძმე ხალხების შვილთათვისაც საყვარელ შემოქმედად.

„გულო დარდები აღარ გდევნიან, შენს გზას, შენს მიზნებს ვინღა ურევდეს, მე ჩემი ქვეყნის მზე მირჩევნია მწვავდეს, მანთებდეს, მანადგურებდეს..."

წერდა სამშობლო ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პოეტი.

ილო მოსაშვილის შემოქმედებაში მკითხველს ხიბლავს ადამიანის ძლიერი, მღელვარე სიყვარული და ცხოვრების ნათელი, ამაყი რწმენა. ილო მოსაშვილის პოეზიის ყოველ სტრიქონში საცნაურდება და ჟონავს ამ სიყვარულის, სითბოსა და რწმენის ურყევი ძალა. იგი ისე ცოცხლად და ვნებიანად წერდა, რომ მისი სტრიქონებიდან თვით ცხოვრება გველაპარაკება. მისი ლექსების კითხვისას თითქოს მთიდან დაქანებული მდინარე დაგვძგერებათ, თავის შფოთიან ტალღებში ჩაგითრევთ და უსასრულობისაკენ მიგაქანებთ. კითხულობთ მის პოემებს და ყურში ჩაგესმით მის მიერ სულჩადგმულ გმირთა ბედაურების ფლოქვთა თქარუნი. მის დრამატულ თხზულებებსაც პოეზიის სილაღისა და სილამაზის ბეჭედი აზის.

იგი უკვდავების საგალობელსა და სიცოცხლის ჰიმნს უმღეროდა ყოველივე იმ კარგს, რაც რომ არის ადამიანში მოცემული. სამშობლოსა და შრომის სიყვარული, სალი გონების ძალა, ცოდნის შეძენის, ბედნიერების ძიების და მოპოვების დაუცხრომელი წყურვილი, ხალხის ძმობის მაღალი იდეალი და კვლავ და კვლავ განუზომელი და ენით უთქმელი სიყვარული ქართული ენისა, საქართველოსი, მის სიძველეთა, დღევანდელობისა და ნათელი მომავლის ურყევი რწმენა.

სწორედ ამიტომ არ უწერია მის ლექსებს დაბერება და ხავსის მოდება. მან თავისი ომახიანი ხმითა და წრფელი გულით ვაჟკაცურად უმღერა ადამიანის დიდი ხნის ნალოლიავებ იმედს, თავის სათაყვანებელ ხალხს, კაცთმოყვარეობისა და ხალხთა შორის ძმობის, ოქტომბრის მიერ ნაშობი კვირტი თავისი ცხელი გულით გაათბო და იმ მშვენიერი გრძნობის ყვავილი ჩვენს თვალწინ გადმოშალა. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, მისგან შექმნილი პოეზიის სურნელოვანი თაიგული, სითბოს, შუქსა და სხივებს გვფენს ჩვენ, მის თანამედროვეთ და მომავალსაც სავალ გზას ლამპარივით გაუნათებს.

მე აგრე მგონია, ილო მოსაშვილის ვეება აჩრდილს ხელთ პოეზიის დაუცლელი თავანკარა ჯამი უპყრია და ახლა იქიდან ილოცება.

**ელგუჯა მაღრაძე**

## «ვეფხისტყაოსნის» ერთი ხელნაწერი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში გასათხოვარ ქალებს რუსთაველის პოემა მზითევში მიჰქონდათ.

ჩვენამდე მოღწეულ მზითვის სიებში ყველაზე ძველია 1634 წლით დათარიღებული „მზითვის წიგნი". ამ სიაში, საერო ანუ „გარეშე წიგნისაგან" დასახელებულია „ერთი როსტომიანი და ერთი ვეფხისტყაოსანი".

ეს „მზითვის წიგნი" ეკუთვნის ლევან მანუჩარის ძე დადიანის (ლევან მეორე) დას — მარიამს, რომელიც ქართლის მეფე როსტომს მისთხოვდა.

ვიდრე მარიამი როსტომის თანამეცხედრე გახდებოდა, იგი გურიის მთავრის სვიმონის მეუღლე იყო. 1625 წელს ლევან დადიანსა და სვიმონ გურიელს შორის მომხდარი განხეთქილების გამო, ლევანმა თავისი და მცირეწლოვან ვაჟიშვილ ოტიასთან ერთად სამეგრელოში წაიყვანა.

1632 წელს ქართლის მეფე ირანში გაზრდილი და გამაჰმადიანებული ბატონიშვილი როსტომი გახდა. მას გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით მეგობრობდა სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანთან. აი, სწორედ ამის გამო გადაწყვიტა მან, რომ დადიანის და მარიამი როსტომისათვის მიეთხოვებინათ.

ქორწილის ადგილად და დრო დაინიშნა. როსტომ მეფე ლევან დადიანს, მის დას და თანმხლებ ამალას იმერეთის განაპირა მხარეს საჩხერეში უნდა შეხვედროდა. ეს რომ დადიანთან მტრულად განწყობილმა იმერეთის მეფე გიორგიმ შეიტყო, სცადა შეხვედრა ჩაეშალა, მაგრამ თავისი საწადელი სისრულეში ვერ მოიყვანა. ლევან დადიანი კაკას ხიდთან შეხვდა როსტომ მეფეს და სამეუღლე მარიამი ჩააბარა.

მარიამი, რომელმაც თან წამოიყვანა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ოტია, ქართლის დედოფალი გახდა.

საინტერესოა, ვის მიერ იყო გადაწერილი ის „ვეფხისტყაოსანი", რომელიც მარიამს 1634 წელს მზითევში გაატანეს?

ამ „ვეფხისტყაოსნის" გადამნუსხავად, ჩვენი აზრით, შესაძლოა მივიჩნიოთ მამუკა თავაქარაშვილი, რომელიც დღემდე რუსთაველის პოემის პირველ გადამწერად არის ცნობილი.

მამუკა თავაქარაშვილი, იმერეთის მეფის გიორგის მდივანი, ცნობილი კალიგრაფისტი, მგოსანი და მხატვარი იყო. იმერეთში მის მიერ გადაწერილი პირველი საბუთი 1629 წლით თარიღდება. 1634 წელს, როცა იმერეთის მეფე გიორგი და კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი როსტომ მეფესა და სამეგრელოს გამგებელს ლევან დადიანს ებრძოდნენ, მამუკა თავაქარაშვილი ტყვედ ჩაუვარდა ლევან დადიანს. სამეგრელოს მთავრის კარზე მყოფი მამუკა ტყვეობაშიც განაგრძობდა თავის საყვარელ საქმიანობას.

ცნობილია, რომ სამეგრელოში 1646 წლის 13 ივლისს მამუკას დაუწყია რუსთაველის პოემის გადანუსხვა, რომელიც იმავე წლის 18 აგვისტოს დაუსრულებია.

უნდა ვიფიქროთ, როცა ლევანს თავისი დის როსტომ მეფეზე გათხოვება გადაუწყვეტია, მამუკასათვის მიუნდვია მარიამის მზითევში გასატანებელი „ვეფხისტყაოსნის" გადაწერა. სამეგრელოს კარზე იმ ხანებში სხვა გადამწერი არა ჩანს. ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, საფიქრელია, რომ მამუკა რუსთაველის ორი ტექსტის გადამწერია — პირველი გადაწერა 1634 წელს — მარიამის სამზითვოდ, ხოლო მეორე, როგორც უკვე ცნობილია, 1646 წელს. ამ მოსაზრების მიხედვით მამუკა თავაქარაშვილის „სავეფხისტყაოსნო" საქმიანობა 1646 წლიდან კი არა, 1634 წლიდან უნდა დათარიღდეს

მამუკა თავაქარაშვილს 1647 წელს „ზააქიანი" გადაუნუსხავს.

რამდენიმე სიტყვა მარიამ დედოფლის შესახებ.

„მართალია, თვითონ როსტომ მეფე გამაჰმადიანებული იყო, მაგრამ ის ხელს უწყობდა დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას, საქველმოქმედო და კულტურულ საქმიანობას, რასაც მისი მეუღლე მარიამი ეწეოდა; ამ დროს შეაკეთეს ბოლნისის სიონი და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი" (ზ. ჭუმბურიძე, „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი". 1975 წ. გვ. 134).

მარიამი მეტად განათლებული ქალი ყოფილა. მემატიანეს სიტყვით, იგი იყო „ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფეს შემდგომად არღარავინ".

მარიამს გადაურჩენია მეათე საუკუნის ძეგლი, რომლის მინაწერში ვკითხულობთ: „ჩვენ ხელმწიფემა პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმთ ქვეყნიდან გამოვიხსენ და განვაახლე დაშლილი და წამხდარი".

მარიამის სახელს უკავშირდება „ქართლის ცხოვრების" დიდმნიშვნელოვანი ნუსხა, რომელიც მისი დაკვეთით სამ გადამნუსხველს გადაუწერია. „ქართლის ცხოვრების" ეს ნუსხა მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებითაა" სახელწოდებული. „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული ხელნაწერი ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

1658 წელს მარიამი დაქვრივდა. ქართლის მეფედ როსტომის მაგივრად შაჰნავაზი დაჯდა. 1682 წელს მარიამ დედოფალიც გარდაიცვალა.

ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო. ვეძებოთ, იქნებ აღმოჩნდეს მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1634 წელს გადანუსხული „ვეფხისტყაოსანი", რომელიც მარიამ დადიანისათვის მზითევში გაუტანებიათ იმავე წელსვე.

**მედეა მალალაშვილი**



# ბელორუსიის მიწაზე

## 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულდა 60 წელი დიდ სამამულო ომში დაღუპული პოეტის მირზა გელოვანის დაბადებიდან. ამასთან დაკავშირებით თბილისში გაიმართა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო. თბილისიდან პოეზიის ზეიმმა შემდეგ პოეტის სამშობლო — თიანეთში გადაინაცვლა.

ვაქვეყნებთ პოეტ დილარ ივარდავას ნარკვევს „ბელორუსიის მიწაზე“. ამ ნარკვევში მოთხრობილია მირზა გელოვანის ნაომარ ადგილებში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებანი.

## მირზა გელოვანს

არ ასცდენია ოცნება მიზანს,
არწივი ისევ ლაჟვარდებს არღვევს,
მშობელ მიწაზე დადიხარ, მირზა,
და ელექსები იორის ტალღებს.

როცა გატყდება იკვლივზე ღამე
და საბადურში იღვრება ვერცხლი,
ცისკართან ერთად გადუვლის ხრამებს
შენი გულიდან დაძრული ცეცხლი.

და ვაჟკაცურად შეუთვლი რისხვას
ცხრა მთის გადაღმა ყაჩაღებს ომის.
ვახ, დედას მტრისას,
ვახ, დედას მტრისას,
მშვიდობისათვის ტორს ურტყამს ლომი.

თუმცა, შორს ჩვენგან ხსენება ომის,
წყეულიმც იყოს თუ სადმე ფრთას შლის...
მე ვფიქრობ ახლა დღეებზე შრომის,
შენი ლექსი რომ მიჰყვება კვალში.

ყურს ვუგდებ მთვარით მოხატულ ფანდურს,
ლარების წყვაში გარინდულ ნუშებს
და წყაროს პირას ჩამუხლულ ჭაბუკს,
გულს რომ ათასი იმედით უვსებ.

შევთხოვ სიონის მოუღლელ ნიავს,
რომ მოაქვს მინდვრის სუნთქვა და ეშხი,
ამიფოფინოს ის ლურჯი ია,
შენს უთქმელ ლექსს რომ ინახავს მკერდში.

რომელ ლაჟვარდზე დაიდე ბინა,
რომელ ბულბულმა ჩაგიდგა ენა,
ხან მოხვალ როგორც შხაპუნა წვიმა,
ხან როგორც თოვლის ფიფქების ცვენა.

განა სადამდე გაიდგი ფესვი,
განა რამდენი სიმღერა გენთო,
რომ არ თავდება სიტყვა და ლექსი
საიორო და სათიანეთო.

შეგიკრავს კონა რარიგ წარმტაცი,
ამ დღეთა გვირგვინს როგორ ეწვნები...
გულს მიკლავს, ოცდაშვიდი წლის კაცი
დღეს შენს დიდებას რომ ვერ ესწრები.

ისე მოვარდა ტკაცუნი აფრის,
ისე ამშვენებ სამშობლოს ახლა,
შენი არყოფნის რას მიზამს დარდი,
როცა შენ ისევ ჭაბუკი დახვალ.

ვახტანგ გორგანელი

ამ სოფელს სანიკს უხმობენ.

სანიკი ფიჭვისა და არყის გაუვალი ტყეებითა და კორომებითაა დაბურულ-შემოგარსული. ასე ყოფილა ოდითგან და... ასე იყო ამ ოცდაცამეტი წლის წინათაც...

ტყეში ხუთნი მივდივართ. სამნი საქართველოდან: ახალგაზრდა მწერალი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, ტელეოპერატორი გრიგოლ ჩიგოგიძე და მე, ორი კიდევ მასპინძელია: ბეშენკოვიჩის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ვლადიმერ ჟუკი და სოფელ რუავკის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნიკოლოზ ბერსი.

— წლეულს ჩვენთან ულმერთო სიცხეებია, სანთლით რომ ეძებოთ, ქამა სოკოსა და არყისძირას ვერ ნახავთ ტყეში. ან ჭვავი როგორია გადარუჯულ-გადაყვითლებული! — თავისთვის ბუტბუტებს, ქერას ვერ იტყვით, ღია ფერის, მაღალი, სანდომიანი სახის რუავკელი პედაგოგი.

დუმილი. სოკოსა და ჭვავისათვის ვის სცხელა ახლა. ჩემს ფიქრს სევდა შემოხწოლია და გულში მახვილივით ტრიალებს. ვატყობ, ამგვარი დარდი აწუხებთ ჩემს თბილისელ ამხანაგებსაც.

— აი, აქ გადიოდა მაშინ ფრონტის მთავარი ხაზი, აი, აქ! — ჩერდება უცებ ვლადიმერ ჟუკი, რომელიც ნაადრევი სერიოზულობის მიუხედავად, დიდი გულთმისნობა არაა საჭირო, მიხვდე, დაბადებულიც კი არ იყო მაშინ... ოცდაათი წლის ჟუკი კი არა, ათი წლის ბავშვიც გეტყვის, თუ რა ჯოჯოხეთის კალო დატრიალებულა აქ, ამ ოცდაცამეტი წლის წინათ.

დავწინაურდი. უცებ ჩემს წინ მდინარე გადაიშალა — მკერდგანიერი, მოშავო-მოლურჯო, ღრმა მდინარე. მოვედით?!

ვგრძნობ, სუნთქვა შემეკრა. შუბლზე ცივი ოფლი გადამეცვარა. ორი დღე მოუთმენლად ვიმგზავრეთ აქეთკენ. ახლა კი? ვგრძნობ, შინაგანად საოცრად მდომებია ამ გზის უსასრულობა, მინდოდა თურმე გაგრძელებულიყო დაფიქრების წუთები, რომელიც მთელი სიმწვავითა და ცხოველმყოფელობით ზრდის სულში მირიადი წლების წიაღიდან აღმოცენებულ ფილოსოფიურ მცენარეს, რომლის კითხვა იმთავითვე ის იყო, რაც დღესაა: მოხვედი? ე. ი. როგორი კვალი უნდა დატოვო ამ წუთისოფლად, რომ მერე სამაგალითოც იყოს?! პასუხი ძნელია. ამას უნდა გრძნობდე მთელი არსებითა და ინტუიციით.

ტყეს ვაყურადებ. ფრინველის ჭიკჭიკი თუ შეაკრთობს მწვანე იდილიას. ფიქრობ: რა ომები, რისი ბრძოლები, ეს საყდრული მყუდროება, ალბათ, არასოდეს დარღვეულა. ნელ-ნელა ცოცხლდება, ფეხს იდგამს სიზმარეული, ბავშვობის ჟამი. თვალწინ კინოკადრივით იშლება თიანეთი თუ ივრის ლამაზი ნაპირები... ცოცხლდება ქუსნო და იხინჭა, ხაწირი და ცხრაკარა. ახლა ცოცხლდება, მაშინ მათთვის, როგორც ამ მდინარისათვის, თვალიც არ მქონდა დაკრული. არ მახსოვს, როგორ, ჯერ კიდევ ბალღს, ხელთ ჩამივარდა ლექსების ყავისფერი პატარა წიგნი. ერთი ამოსუნთქვით ჩავიკითხე. წინასიტყვაობა გვამცნობდა, რომ მისი ავტორი ომიდან დაბრუნებული არ იყო. „შინმოუსვლელს“ ეძახდნენ. სიტყვა „შინმოუსვლელი“, „ლოდინი“ ჩემთვის უცხო არ იყო, რადგან ჩვენი ოჯახიც ელოდა მამაჩემსა და ორ ბიძას... რომლებმაც ეს საშინელი ეპითეტი „შინმოუსვლელი“ დღესაც ვერა და ვერ მოიშორეს.

ვკითხულობდი რა ამ პატარა წიგნს, თავად ვხდებოდი მოწმე დიადი ბრძოლებისა. პოეტ-კაპიტანს მივყავდი ქარბუქიან გზაზე. ვხედავდი, თუ როგორ „იწვა რუსეთი უსასრულო, ფართო, კეთილი“ და „ხვდებოდა ბრძოლით დღის გათენებას“, იგი ამბობდა, რომ შეიძლება ტყვიას, ცეცხლს, წარღვნის ორომტრიალსაც უცქირო, როგორც სანახაობას, როგორც უცოდველ მშვენიერებას. მანდობდა, რომ ამგვარ ბრძოლებში „დაჩეხილებს თბილისის ცა ამრთელებდა, მათ საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი“. მაშინ გავიგე: თუ გიყვარს შენი სამშობლო, მისი წარსული და თუ მისი მომავლისათვის ბრძოლებში დაეცი, შენს გარშემო უკვდავება დაისადგურებს. დღეს კი თამამად ვამბობ: — შენ იყავი ჩვენი თაობისათვის უზადო მებაღე, რომელიც გვპირდებოდი პოეზიის მშვენიერი წალკოტის აშრიალებას.

ვაგლახ, რომ არ დაგცალდა!

●

გადავწყვიტე: მარტო ვიხეტიალო დასავლეთ დვინის ნაპირებზე. მდინარეს მარცხნივ და მარჯვნივ მჭიდროდ ეკვრის არყისა და ფიჭვის ტყე. არყნარი ბელორუსიაში ომის შემდეგ ერთიათად მომრავლდა. საქმე იმაშია, რომ ჩვეულებრივ, წვრილფოთლოვანი ტყე იზრდება წიწვიანი ტყის ალაგას, რის გამოც მას მეორადს ეძახიან: არყი, თურმე, მეორადი ხეა. ის სწრაფად იკავებს ნაძვისაგან განთავისუფლებულ ადგილს. ნაძვნარის გადაჩეხილ-გადამწვარ ადგილებზე ან არყი ამოდის ან კიდევ, როგორც მას აქ ეძახიან, მთრთოლავი ვერხვი. მთრთოლავი ვერხვიც მოთეთრო ფერისაა.

ხანძრებით და ტყვიითაა გადამწვარი ბელორუსიის ყოველი მტკაველი. ფაშისტების უპირველესი მტერი აქ პარტიზანები იყვნენ, პარტიზანების საიმედო საფარი — ტყე. ამიტომ გერმანელები ოკუპირებულ მიწებზე უპირველესად, ცდილობდნენ ვრცელი ჰორიზონტი ჰქონოდათ თვალთახედვისათვის და ყველა „სიკეთესთან“ ერთად ტყესაც ულმერთოდ აჩანაგებდნენ. სწორედ ეს ადგილები, დროთა ვითარებაში დაიკავა არყნარმა და ვერხვნარმა. ეს ძალზე შესამჩნევია თვითმფრინავიდან. იყურები დაბლა და ფიქრობ: ჯოჯოხეთურმა ომმა საუკუნოვან ტყეებსაც როგორ გაურია ჭაღარა.

უცებ, ძახველის, ჭანჭყატისა და ხეშავის ხლართებით შეკრულ ბლინდაჟს ვაწყდები. ტანში გამცრა. ბლინდაჟი... ყურში ზარივით რეკავს: „მე ვიგრძენი საგულეში შენი გული და მტრის ბლინდაჟს შევუკეთე ყუმბარები“. „ამაღამ ჩემი სვანური მუხლი მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს!“

...ბალტიისპირეთის 1 არმია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით არმიის გენერალ ი. ბაგ



ეროვნული ბიბლიოთეკა









თარხან არჩვაძის ფოტო.

ჰეჯხის ზემო თიანეთში.







ეროვნული ბიბლიოთეკა



- თივის ზვინები.
- ხმელი წიფელი.
- ცხელა.
- ხნულში.



ლიმონარიუმი.

ალექსანდრე საკოვის ფოტო.

# მუდამ ზაფხულია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას ყოველთვის უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს.

სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პავილიონს, რომლის ფართობი 800 კვადრატული მეტრია, სიმაღლე — 24 მეტრი.

პავილიონში თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების ძირითადი სახეობები. თვალს იტაცებს პავილიონის მინის ჭერამდე ტანაწვდილი ბამბუკი, გალაღებული პალმები, აგავა, ბანანი, გრეიპფრუტი, ფინიკის პალმა, სხვადასხვა ჯიშის კაქტუსები, მანდარინისა და ლიმონის დახუნძლული ხეები...

გამოფენის სპეციალისტებს ყოველგვარი პირობები შეუქმნიათ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი კლიმატის შესაქმნელად. სპეციალური კონდიცია, ტენი, ნიადაგი, ტემპერატურა საუკეთესო პირობებს ქმნის პავილიონში გახარებული 42 სახეობის მცენარის ბიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მიიწურება გაზაფხული, ზაფხული, მერე შემოდგომა, გარეთ ქარი ქრის, თოვლის ფანტელები ეფინება გარემოს, პავილიონში კი ცხელა. ცისარტყელას ფერებად ღაღანებენ ყვავილები, ბიბინებს ბალახი, კლდიდან წყალი მოწანწკარებს, ტოტები დაუხრიათ ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულ მანდარინის ხეებს...

აი, ამიტომაც არის, რომ დამთვალიერებლები გამოფენის ამ პავილიონს ხშირად „ედემის ბაღს" უწოდებენ.

რამიანის, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ბელორუსიის მე-2 და მე-3 არმიებმა, არმიის გენერალ გ. ზახაროვისა და გენერალ-პოლკოვნიკ ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით სამი მხრიდან რკალში მოაქციეს სამხრეთით, ქ. ვიტებსკიდან მე-60 კილომეტრზე, ბეშენკოვიჩის რაიონთან (სოფ. რუავკასთან და სანიკთან) ხუთი გერმანული დივიზია. ექვსი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა მტრის გამაგრებული პლაცდარმი დასცეს და 29 ივნისს ჩვენი სამივე არმია შეერთდა...

ეს მიწურიც სწორედ სამი არმიის შეერთების ადგილზეა.

ამ ადგილებზე იბრძოდა ჩვენი საამაყო თანამემამულე მირზა გელოვანი; 1944 წლის 27 ივნისს აქ დაიდო სამუდამო ბინა და აქედან იქცა ქართველი და ბელორუსი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ!

...დიახ, ოცდაცამეტი წლის შემდეგ მოვსულვარ საქართველოდან და... ვათვალიერებ ჭანჭყატითა და ხეშავით დახლართულ ბლინდაჟს... მესმის შენი გარდასული სუნთქვა, აწ და მარადის უკვდავებანაზიარები!

პოლესიეს გაუვალ ჭაობებსა და ტყეებში — ჰაუბიცების, ტანკების, თვითმფრინავების განუწყვეტელ გუგუნსა და კოშმარულ კაკაფონიაში იწერებოდა მირზა გელოვანის ჭეშმარიტი, ზოგჯერ სევდიანი, მაგრამ ბოლომდე იმედიანი და ამაღლებული სტრიქონები — ეს იქნებოდა ლექსები, თუ მეგობრებ-ახლობლებისადმი მაღალი პოეტური შეგნებითა და რწმენით გასხივოსნებული პირადი წერილები. არა წუწუნი, არა იმედტყდომა — მათში სუნთქავს სამართლიანობა და დიდი რწმენა ხვალინდელი დღის გამარჯვებისა.

მირზა გელოვანი ბასიანისა და რუხის, ასპინძისა და კრწანისის ველებიდან გამოხმობილ ვაჟკაცსა ჰგავს, რომელიც ყველა ღირსებაზე მაღალ ღირსებად სამშობლოსათვის თავდადების ნიჭს თვლის. სწორედ ეს შეგნება ასულდგმულებს, აფესვიანებს და აფრთიანებს მის ლამაზ შემოქმედებას. სულის პირველყოფილი ზნეობრივი სიფაქიზე მას საარტილერიო კანონადის გამაყრუებელ ხმაურშიც არ გაუხეშებია.

„შავნაბადას“ ავტორი 1942 წელს ფრონტიდან წერს: „სიკვდილისაგან შენ ვერრა გიხსნის, თითონ სიკვდილი თუ ვერა სძლიე“. ამგვარი ვაჟკაცური შეძახილითაა გასხივოსნებული გელოვანის ფრონტული ლექსები. ცალკე მსჯელობის საგანია პოეტის ღრმად ფაქიზი და ლირიკული პოეზია. გულის მგრძნობიარე თრთოლა, ის ფერწერული სახეები, რომელიც მხოლოდ მირზასეულია, და, რომელიც წამითაც არ გაუხეშებულა ყოველ წუთში მოსალოდნელი სიკვდილის წინაშე. ცეცხლის წინა ხაზიდან მირზა ამბობდა: „ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი ფერებით ჰყავის თბილისი ახლა, რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით და დილისათვის ამწვანებს ნახნავს“, „ჩემი ძვირფასი გორები, ძნები — კაცები ყვითლები, თიანეთი და სწორები, თიანეთი და ფიქრები“...

●

პოეტის სიცოცხლე ხშირად სიკვდილის შემდეგ იწყება. ეს ლოგიკა უცნაურია, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურამ ამის მრავალი მაგალითი იცის. ის, რაც გუშინ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი და ყველასათვის შეუმჩნეველი იყო, დღეს შეიძლება საინტერესო და ორიგინალური გახდეს. ხოლო საინტერესო ბიოგრაფია ქვეყნად არავის ისე არ ალამაზებს, როგორც ხელოვანს. ჭეშმარიტი შემოქმედის ცხოვრება ხშირად გმირის ცხოვრებასთანაა გაიგივებული, რადგან მკითხველი თუ მაყურებელი სიკვდილის შემდეგაც ქმნის ზოგჯერ მათზე ლამაზ მითს, რომელიც, დიახაც, საჭიროა შემდგომი თაობებისათვის. მირზა გელოვანის ცხოვრებას კი შელამაზება არ სჭირდება. მის პიროვნებაში ბედნიერად იყო შეხამებულ-შერწყმული რაინდისა და პოეტის ღვთაებრივი საწყისები: „მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს, ვეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება, ვეტყვი, რომ შენ წაიქეცი, როგორც მუხა, როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება“, „ო, შენ რომ არა... შენი ხელის მკვლელი შეხება, მე ეს გრიგალი ვერ წამაქცევდა...“

...ძელმიწურს ვერ ვშორდები, თითქოს დაბეჯითებით ვიცოდე, რომ იგი მირზასეულია. ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა? სადღაც აქ, ამ ტერიტორიაზე დაახლოებით ათი კვადრატული კილომეტრის ფართობზე გადაიხადა თავისი უკანასკნელი ბრძოლები 1944 წლის 24 ივნისიდან 27 ივნისამდე რუსი, ბელორუსი, უკრაინელი და აზერბაიჯანელი მეგობრების გვერდით 27 წლის საბჭოთა არმიის კაპიტანმა მირზა გედეონის ძე გელოვანმა. გადაიხადა და... სხვა სიცოცხლე დაიწყო. სწორედ ამ ფაქტს ეხმაურება შესანიშნავი ბელორუსი პოეტი ანატოლ ასტერიკო მირზასადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც ასე მთავრდება: „შენს ობელისკთან, მირზავ, მუხლს ვიყრით, ტყე ახმიანებს სიცოცხლის ბუკებს; ხარ აღზევება ლექსის და სიყრმის და ორი ხალხის შვილი ხარ უკვე!“.

●

ბეშენკოვიჩელ, რუავკელ და სანიკელ მშრომელებთან, ინტელიგენციასთან და პიონერებთან ერთად, მირზავ, შენ საფლავთან ვდგევართ ახლა... აქ საძმო საფლავია. შენს გარდა მარადიული ძილით განისვენებს სამშობლოსათვის თავდადებული ორმოცდაცხრა თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი. დღეს მოვედით, შევიკრიბეთ, რათა მოგილოცოთ, მირზავ, შენი სამოცი წელი... ნეტავ იცოდე, შენი საქართველო როგორ ემზადება ამ თარიღისათვის. გადაწყდა: შენი იუბილე სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის ზეიმად გადაიქცეს. იმ ახალგაზრდობისა, იმ კომკავშირისა, რომლის გულმხურვალე მეხოტბე იყავი და რჩები აწ და მარადის. შენ არც კი იცი, მისი ლაურეატი რომ ხარ; შენ არც კი იცი, ქართველი პოეტისათვის ყველაზე უფრო სანატრელი და სასურველი ჯილდოს — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიას რომ ატარებ.

ძალზე საპატიო მისია მერგო დღეს, შენი ცხოვრება და შემოქმედება უნდა გავაცნო შენს მეორე მშობელ ხალხს. თქმა არ უნდა, ვღელავ... ვიცი, აქ შენზე როგორ ილაპარაკებენ.. ილაპარაკებენ იმ ზაფხულზე, როდესაც მრისხანე ქუხილის ჟამი იდგა და ომის ხანძარი ენთო დვინაზე. იტყვიან, თუ როგორც აიკეცა მზემ შრიალა ფრთები, როცა შენს ცისფერ თვალებში სამუდამოდ მწუხრი დაქანდა და წამით კავკასიონის გოლიათი მთების გმინვა შემოგესმა. ვეტყვით ერთმანეთს, რომ ბელორუსიის გაუვალ ტყეებს ვერასდროს უმღერებ.... მაგრამ იმასაც ხომ ვიტყვით, რომ დღეს, ასე საოცრად მაღალი, ბრინჯაოსაგან გამოძერწილი, ყოველ ცისმარე როგორ სტოვებ სამარეს, რათა უგალობო შენს უკვდავ ხალხს და საქართველოს; ხომ ასე იყო და ასე იქნება:

— მუდამ ელტვიან ვეფხვის ბრწკალები არდაყუჩებას, არდაძინებას.

ვდგავარ შენს ძვირფას საფლავთან და ვამბობ— რა მართალი სტრიქონები უთქვამს ბელორუს პოეტს: — ხარ აღზევება ლექსის და სიყრმის და ორი ხალხის შვილი ხარ უკვე!

**დილარ ივარდავა**

ბეშენკოვიჩი — თბილისი.

# ძველი პრესის ფურცლებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

ვალტერ სკოტი, რომელსაც მანძონიმ „ისტორიული რომანის ჰომეროსი“ უწოდა, მილანში ყოფნის დროს შეხვდა ალექსანდრე მანძონს და ქათინაურები უთხრა მისი რომანის გამო. ამაზე მანძონიმ მოკრძალებულად უპასუხა:

— თუ ჩემს „დანიშნულებს“ (ასე ეწოდება რომანს) რაიმე ღირებულება აქვს, თქვენი დამსახურებაა — ის ნაყოფია ჩემი ხანგრძლივი მუშაობისა. თქვენს შედევრებზე, შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად თქვენ გეკუთვნით!

— ნება მომეცით განვაცხადო, რომ „დანიშნულები“ ჩემი ყველაზე საუკეთესო რომანია! — იყო ვალტერ სკოტის პასუხი.

ასე გადმოგვცემს ლეგენდა; ლიტერატურის ისტორია კი დასძენს, რომ ისინი ერთმანეთს არასოდეს არ შეხვედრიან.

□

— მაესტრო, — მიმართა ერთხელ ჯოაკინო როსინს ერთმა კაცმა, რომელსაც უნდოდა თავი გამოეჩინა იმით, რომ მას კარგად იცნობდა, — გახსოვთ ის დიდი სადილი მილანში, უზარმაზარი ნამცხვარი, რომ შემოიტანეს, მე თქვენგან მარჯვნივ ვიჯექი!

— ის სადილი და უზარმაზარი ნამცხვარი კარგად მახსოვს, მაგრამ მე სად ვიჯექი, არ მახსოვს,— უპასუხა როსინმა.

□

ერთხელ, როცა ლიზიმახი ჯერ კიდევ მეფედ იყო, ჰკითხა თავის მეომარს ფილიპიდის, კომედიების მწერალს:

— ყოველივე იქიდან, რაც კი მე მაქვს, რა გინდა, რომ შენც გაიზიარო?

— რაც შენი ნება იყოს ხელმწიფევ, ოღონდ შენს საიდუმლოებაში წილს ნუ დამიდებო! — უპასუხა ფილიპიდომ.

□

ვოლტერს ჰკითხეს: რა განსხვავებაა სიკეთესა და სიმშვენიერეს შორისო?

მან უპასუხა: სიკეთეს დამტკიცება უნდა, სიმშვენიერეს კი დამტკიცება არა სჭირიაო.

□

პრინცმა ჯუზეპე პონიატოვსკიმ, რომელსაც როსინი ფლორენციიდან იცნობდა, სთხოვა დასწრებოდა ოპერა „მედიჩების ქვას“ პარიზში და შეეფასებინა მისი გამოსვლა. როსინმა ხათრი ვერ გაუტეხა და ოპერას დაესწრო. მაესტრომ მოისმინა ოპერა, განსაკუთრებული ყურადღებით — პრინცის არია, რომელიც არ ბრწყინავდა შესრულების ორიგინალობით.

ოპერის დამთავრების შემდეგ ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ როსინს, სთხოვდნენ, გამოეთქვა თავისი აზრი.

— პრინცის პარტია არ არის იმ პარტიათაგანი, რომელსაც მოსმენისთანავე შეაფასებ, თუმცა მე აღარ ვაპირებ მის მოსმენას, — მიუგო როსინმა.



# ერთი დღე მიხეილ დუდინთან

ამჟამად შემოქმედებით მივლინებაში ვიმყოფები და ჩემთვის საჭირო მასალების საძიებლად ლენინგრადს ვესტუმრე. სასტუმრო „როსიაში“ დავბინავდი და ნაშუადღევს ნევის პროსპექტისაკენ გავემართე. სასახლის მოედანზე დიდებულ სანახაობას შევესწარი: ადმირალიტეტის კოშკის მიდამოებში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. როგორც ცნობილია, ადმირალიტეტის კოშკი ოქროს თხელი ფირფიტებით არის მოპირკეთებული. ქარი, წვიმა და თოვლი ცვეთს ამ ფირფიტებს და პირველად ორმოცდაათი წლის წინ მოხდა მისი რესტავრაცია; ბოლო წლებშიც საჭირო გახდა ამ უნიკალური ნაგებობის რესტავრაცია და ორიოდე წლის წინ დაიწყეს ეს საქმე გამოჩენილმა ლენინგრადელმა ოსტატებმა. ორი კილოგრამი ოქროს თხელ-თხელი ფურცლები უნდა გადააკრან მას და ნახევარი საქმე უკვე მოუმთავრებიათ. რესტავრაცია კი კოშკურის წვეროდან დაიწყო, გუმბათამდე უკვე ჩამოსულან და დღეს ოქროს ხომალდიც უნდა შემოდგან ზედ თურმე. ამიტომ მოუყრია თავი აქ ლენინგრადელ მშრომელებს.

ურთულეს ხარაჩოებს რამდენიმე კაცი აჰყვა, გუმბათთან შედგნენ და ცოტა ხნის შემდეგ გუმბათის ზედა ნახევარსფერო ამწეებმა ზე ასწიეს. იქ შეჩერებულმა ადამიანებმა გუმბათში ჩადეს დღევანდელი გაზეთების ნომრები „პრავდის“. „იზვესტიის“, „კომსომოლსკაია პრავდის“, „ლენინგრდასკაია პრავდისა“ და სხვა. გაზეთის ეს ნომრები ოცდამეერთე საუკუნის თაობებმა უნდა ნახონ, როცა შეუდგებიან ამ კოშკურის კვლავ რესტავრაციას. ისინი წაიკითხავენ ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლის ერთი დღის ამბებს ამ გაზეთების ფურცლებზე.

გუმბათი დახურეს და ამის შემდეგ დაიწყო მასზე ოქროს ხომალდის დადგმის მომხიბლავი ცერემონიალი. ოქტომბრის მესამოცე წლისთავის საიუბილეო წინადღეებს ამ დღემ თავისებური ფერი შემატა — ისტორიული ძეგლები ჩვენი სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვით არის გარემოცული.

მეორე დღეს ლენინგრადელი პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ დუდინი მოვიკითხე. ესტონეთში წასულიყო პოეზის დღეებში მონაწილეობის მისაღებად.

მიხეილ დუდინს გულითადად უყვარს საქართველო. ჯერ კიდევ ლენინგრადის ბლოკადის დროს ის ჯარში ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს დაახლოვებია, ომის შემდეგ ქართველი პოეტები გაიცნო და ამ ურთიერთობებმა გულითადად შეაყვარა საქართველო. ბევრჯერ იყო ჩვენ ქვეყანაში, ღრმად ჩაიხედა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მოხიბლა ქართულმა პოეზიამ. ბარათაშვილის პოეზიამ მოაჯადოვა და მომდევნო წლებში ჩინებულად თარგმნა კიდეც მისი ყველა ლექსი.

იგი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა ლენინგრადში და როგორც იქნა, ტელეფონით მოვიხელთე, ახლავე წამოდი, შინ გელოდებით.

საჩქაროდ გავეშურე. კარი გაიღო და ზე ხელებშემართული, მაღალი, ხმელ-ხმელი, სახეზე ნაოჭებდაყრილი დუდინი მღიმარე და გულგაშლილი შემეგება. თავისებური ხმით შინ შემიპატიჟა; ოთახში შევედით თუ არა, მაშინვე მეგობარი მწერლები მოიკითხა. როგორი ინტერესითა და სიყვარულით გამომკითხა მათზე ყველაფერი!

მე მათი სახელით ერთხელ კიდევ მივულოცე სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭება. ყველამ გამომიგზავნა მოსალოცი დეპეშაო, კმაყოფილებით თქვა. ოთახში მისი მეუღლე ირინა ნიკოლაევნა შემოვიდა, გულთბილად მომესალმა და მაშინვე მითხრა, დღეს მიხეილმა ბაზრიდან სოკო მომიტანა, გაკეთებაც მოვასწარი, უნდა გაგასინჯოო.

ირინა ნიკოლაევნა კინოსტუდიაში მუშაობს რედაქტორად; სიხარულით გამიზიარა თენგიზ აბულაძის ბოლო ფილმით გამოწვეული აღფრთოვანება და მთხოვა, გულითადად მომიკითხე თენგიზიო. მეგობარ ქართველ მწერლებზე და მათ ოჯახებზეა განსაკუთრებით შეყვარებული, დაწვრილებით გამომკითხა მათი ამბავი.

მერე მარტო დაგვტოვა მე და დუდინი. ჩვენ კარგა ხანს ვისაუბრეთ საქართველოზე, საერთოდ, პოეზიაზე და კერძოდ, ქართულ პოეზიაზე. მე დავალებული მქონდა ერთ-ერთი რედაქციიდან, დუდინთან დიალოგი მათთვის მიმეწოდებინა. ჩვენი საუბრის ბოლოს ჩემ მასპინძელს ეს აზრი გავუზიარე. საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო. მერე ადგა, კარადიდან თავისი ლექსების ახალი წიგნი გადმოიღო, წააწერა ზედ და მაჩუქა. მერე სავარძელს ზურგით მიეყრდნო და თქვა:

— თუმცა ძალიან გადატვირთული ვარ, სილვა კაპუტიკიანის წიგნისათვის სტატია უნდა დავწერო საჩქაროდ, აგრეთვე სხვა წერილებიც. დიდი ხანია საქართველოზე და ქართულ პოეზიაზე მინდოდა რამე დამეწერა. ჩვენმა საუბარმა ისეთ ხასიათზე დამაყენა, ხვალამდე ყველა საქმე უნდა გადავდო და ეს სტატია უნდა დავწერო. მით უფრო, ახლა მოსკოვში ჩემი სამტომეული გამოდის და ეს სტატიაც დაამშვენებს მის ფურცლებს.

ამას რა აჯობებს-მეთქი. გამიხარდა. აბა, ხვალ ოთხ საათზე დაგირეკავ და შეგატყობინებ, სტატია მზად მექნება თუ არაო.

ჩემ გასაჭირზეც ჩამოვუგდე სიტყვა, მარსის მოედანზე პატარა ბიჭის, რევოლუციის მსახიობ-აგიტატორის კოტე მღებროვ-ჩეკანის საფლავმა დამაინტერესა ამ რამდენიმე წლის წინ, მასზე პოემა მინდა დავწერო და არ ვიცი, რა გამომივა-მეთქი.

— მე მამამისს ვიცნობდი, ზოგიერთ მასალას მიგითითებ, ალბათ, გამოგადგება. რაკი განიზრახე, გამოგივა, — გამამხნევა თავისი შეძახილით, — მხატვრული ნაწარმოები რა თემასაც არ უნდა შეეხებოდეს, ყოველთვის მგოსნის სულის ანარეკლია!

მართლაც, ჩემთვის საინტერესო ბევრი წყარო მიმითითა.

— ოქტომბერმა მრავალ სიკეთესთან ერთად დიდი სიკეთეც მოგვიტანა — ხალხთა მეგობრობა, — თქვა დუდინმა,—ჩვენს შორის მეგობრობას, განსაკუთრებით ლენინგრადსა და თბილისში, შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული, მაგრამ ახლანდელი მასშტაბი მას არასოდეს არ ჰქონია. ჩვენ შეიძლება ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ გვქონდეს გააზრებული ამის უდიდესი მნიშვნელობა.

ახლა თბილისში ცხოვრობენ დუდინის ფრონტელი მეგობრები. განუწყვეტელი კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან.

სიამოვნებით მოიგონა პოეტმა ათეული წლის წინანდელი ამბავი: წყალტუბოში ჩასულა ერთხელ სამკურნალოდ, მეგობრებისთვის არ შეუტყობინებია, ისე. ირინა ნიკოლაევნამ ჩაურთო საუბარში, ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მწერდა წერილებს, მერე უცებ წერილები შეწყდა, მივხვდი, ალბათ, მიაგნეს ქართველმა ძმაკაცებმა-მეთქი. მართლაც, ასე მომხდარა — ქუთაისში დავით კვიცარიძეს გაუგია, დუდინი წყალტუბოშიაო, მოულოდნელად სტუმრებია, მოხიბლულა დავითის პიროვნებით, სიამოვნებით აჰყოლია მას და მთელი საიმერეთო შემოუვლიათ; ქუთაისში პოეზიის საღამოები გაუმართავთ. ის შთაბეჭდილებები არასოდეს გახუნდება ჩემს მეხსიერებაშიო.

მე ვაცნობე ჩემს მასპინძელს, თბილისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თქვენი ლექსების ხუთთაბახიან წიგნს ამზადებს გამოსაცემად-მეთქი. უდიდესი სიხარულით მიიღო ეს ცნობა. მეუღლეს მიმართა ღიმილით, ქართული დუდინი რომ მექნება ხელთ, მაშინაც არ მოგეწონებიო.

დუდინი ბევრჯერ ყოფილა საქართველოში, ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა საბჭოთა პოეზიის დღეებში და თავისი უბრალოებით, მხიარული კალამბურებით, პირადი ადამიანური თვისებებით ბევრი ქართველი მოუხიბლავს.

ამ გაზაფხულზე, აპრილშიც ჩამოფრენილა თბილისში, არავისთვის შეუტყობინებია, ახალციხისაკენ გამგზავრებულა მაშინვე, ძმაკაცები აქ დამაკავებდნენ, ახალციხეში კი ერთი კაი კაცი მელოდებოდაო. მასთან გაუტარებია რამდენიმე კვირა.

— ვაშლის ხეები დავრგე მის ეზოში, — თქვა მიხეილმა, — აი, ნამდვილი მეგობრობის ხეები. ნახე, როგორ გაიხარონ. როცა ნაყოფს დაისხამს, თბილისში ჩამოვალ, ჩემ ძმაკაცებს წავიყვანთ და გავსინჯოთ.

უცებ მაგიდაზე ორად გაკეცილი სქელი, სახატავი ქაღალდი გაშალა, ფანქარი აიღო და თქვა, ლადო, აი, როგორ ხატავენ დუდინსო. რამდენიმე სქელი ხაზით თავისი პროფილი დახატა ისე, როგორც მეგობრულ შარჟს ხატავენ ხოლმე. მისახსოვრა ეს ნახატი.

მეორე დღეს ოთხ საათზე დამირეკა. წერილი მზად მაქვს, საჩქაროდ მოდიო. სტატია წამიკითხა. ალალი სულითა და გულით გამოუხატავს უდიდესი სიყვარული საქართველოსა და ქართულ პოეზიაზე.

ახლა ამ სტრიქონებს თბილისში ვწერ. დაველოდოთ მიხეილ დუდინის მომავალ ვიზიტს, წავყვეთ მერე ახალციხელ ძმაკაცთან და გავსინჯოთ გემო მის მიერ დარგული მეგობრობის ხეების ახალი ნაყოფისა.

ლადო სულაბერიძე

— ასე მხატავენ!



მიხეილ დუდინის ნახატი.



ილია რურუა

# [illegible] ღამის [illegible]

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი კვირა მივცურავთ ოკეანეში. რაიმე სიახლისა თუ გართობის ძებნაში ტურისტები აქეთ-იქით დაწრიალებენ. საბოლოოდ მაინც ყველა გზა მუსიკალური სალონისაკენ მიდის. წითლად მოხასხასე ღრმა სავარძლებში მოკალათებულნი, წყნარ, ინტიმურ საუბარში ლუდსა და კოკტეილს შეექცევიან, ან ჭადრაკსა და პრეფერანსს თამაშობენ.

აქვე, გვერდზე, რეპეტიციას გადის ქართული ახალგაზრდული საესტრადო ანსამბლი „ოროველა“. რეპეტიცია ჰქვია, თორემ იგივე კონცერტია; მე თუ მკითხავთ, უფრო საინტერესო, რადგან ბიჭები შიგადაშიგ თავიანთი სიამოვნებისათვის მღერიან.

ამ სიმღერებს გერმანელი ტურისტები პირველად ისმენენ.

უცხოელებმა, ცხადია,. არ იციან, რომ ანსამბლის სახელი ძველი გუთნისდედურიდან მოდის; რომ ეს სიმღერა სალონებში არ სრულდება; მას მიწის გაშლილი სივრცე და საკუთარ თავთან განმარტოება ჭირდება და ბრჭყვიალა საესტრადო ინსტრუმენტებთან მეზობლობა ეხამუშება. და მაინც ეს მოხდენილი, თავაზიანი ბიჭები გუთნისდედები არიან — სიმღერის გუთნისდედები. რამდენიმე თვეა ზღვებისა და ოკეანეების უკიდეგანო სივრცეებში აბნევენ მშობლიური მიწის ჰანგებს.

ვუსმენ მეც, თითქმის ერთიანი მინის სამზერ კედელთან მჯდომი. აქედან განსაკუთრებით კარგად ჩანს წყლის უსაზღვრო, ლურჯი სივრცე და მისი ნაორთქლის ნისლოვანებით ოდნავ შემღვრეული ცა. მუხლებზე მიზის პატარა გერმანელი ბიჭი, რომელსაც რატომღაც რუსული სახელი — ბორია ჰქვია.

სამგზავრო ლაინერზე, სადაც თავი მოუყრია ათას ორასამდე ადამიანს, ბორია ერთადერთი ბავშვია. ამიტომ ხელიდან ხელში გადადის, ყველა მას ეალერსება და ესიყვარულება. ბიჭი კინოფილმიდან გადმოსულ პატარა უფლისწულს ჰგავს: აბრეშუმივით რბილი და მბზინავი ქერა თმა მხრებზე დაყრია. ოდნავ ოვალურად ამობურცულ მაღალ შუბლს ქვემოდან შემოგცქერით ბავშვური ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები.

მე და ბიჭი, როგორღაც, თავიდანვე განსაკუთრებულად შევეთვისეთ ერთმანეთს. დამინახავდა თუ არა, გამოიქცეოდა, ფეხებში მომედებოდა ან მკერდზე შემომახტებოდა. ნავსადგურებში შესვლისას ერთიანად გაჭედილ გემბანზეც ვუპოვნივარ. ლაცბორტზე შევაყენებდი და არცთუ შიშის გარეშე, ხელს მაგრად მოვხვევდი. ერთხელ, ბომბეის ნავსადგურში შეხვედრის სანახაობით დაღლილს, ჩემ მკლავებში ჩაეძინა.

კაიუტაშიც ვისტუმრე. საგულდაგულოდ გადამალული ერთადერთი ჩურჩხელა მივართვი, რამაც ბორიას უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. მიმიკის ენით კარგა ხანს ვუხსნიდი, თუ ვისთვის გამოიგონა იგი ქართველმა ბებიამ. ბიჭმაც, იცოცხლეთ, იმ გამხმარ ჩურჩხელას დღე აყარა თავისი ალმასა კბილებით. ვუსახსოვრე მცირე ზომის ჭედური ნამუშევარიც — ვეფხვს შეჭიდებული მოყმე... ჩემს ქალ-ვაჟსაც გაეცნო. კარგა ხანს, დაუფარავი ინტერესით შეჰყურებდა მათ ფოტოს ჩემი საწოლის თავზე. ეტყობა, ერთ-ერთი თანატოლად მიიჩნია, რადგან მეორე დილით საჩუქრით მომადგა კარზე. ეს გახლდათ მუყაოს ნაჭრებზე გადატანილი რეპროდუქცია ჰოლანდიური სკოლის ფერწერული სურათისა. მასზე გამოხატულია ზღვის აბობოქრებულ სტიქიონს შებმული ძველებური აფრებიანი ხომალდი...

ახლა კი ჩემ მუხლებზე მოკალათებული ბორია სულგანაბული უსმენს უცხო სიმღერებს.

„ტურფავ, ტურფავ, რად მემდური,
მოაცურე ჩემსკენ ნავი...“

მესიამოვნა ამ უბრალო და კეთილხმოვანი სიმღერის გაგონება. ალბათ, გერმანელებსაც მოეწონათ, რაკი ტაში მოწყვიტა. ამ წუთმა გამახსენა ერთი, თითქმის მივიწყებული, ამბავი.

●

ეფრეიტორი გერჰარდ კრაუზე, ჩვეულებისამებრ, მარტო გამოვიდა სასეირნოდ. პროფესიით მუსიკოსს, უყვარდა სალამო ხანის მყუდროება, როცა მანამდე სივრცეში არეული ხმები თანდათან იწმინდება და ბინდის დადგომით შეძრული ჩიტების ერთიან ჟივილად ან ზღვის ტალღების საამო შრიალად იქცევა-ხოლმე.

ასეთ დროს გერჰარდს ეუფლებოდა სულის ამფორიაქებელი გრძნობა, რომელიც ბუნდოვნად აახლოებდა რაღაც სამუდამოდ დაკარგულთან, მაგრამ მაინც ძნელად დასათმობთან. ძველი კაპელმეისტერი ხვდებოდა, რომ ეს იყო რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის წადილი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ფრთები არ ყოფნიდა და რომელიც წლებთან ერთად თანდათან ნელდებოდა. ყველაფერი საბოლოოდ დამთავრებულად მაშინ ჩათვალა, როცა ორმოცდაათს კარგა გვარიანად გადაცილებულ კაპელმეისტერს რაიხის უკანასკნელი რეზერვისტის ფორმა გადააცვეს და თავი აქ, ჩრდილოეთის ზღვის ერთ პატარა კუნძულზე ამოაყოფინეს, ტყვეთა ბანაკის მცველად. ეფრეიტორის ტანსაცმელს აქამდე ვერ შეგუებოდა. კუნძულზე საომარი ვითარებისათვის უცხო სიწყნარე სუფევდა. არც ტყვეებს ეჭირათ თავი გამომწვევად. და ესოდენ მოულოდნელ სიმშვიდეში ჩაძირული კაპელმეისტერის გულში ისევ გაიფაჩუნა მიძინებულმა იმედმა. ასეთი გასეირნების ჟამს თითქოს უბრუნდებოდა ახალგაზრდობის განწყობილება, რაღაცით შთაგონებას რომ ჰგავდა.

„ვინ იცის... ვინ იცის!“ — მწველი იმედით გაეხმაურებოდა ყურში უნებურად დარხეულ ჰანგს, მაგრამ სასწაული მაინც არ ჩანდა...

გერჰარდმა ფეხს აუჩქარა, გაახსენდა, რომ ნაპირზე მარტოა და რომ სადღაც ახლოს არიან მისადმი შეურიგებელი მტრობით სავსე ადამიანები. დღის სინათლე შემოძარცული კუნძულის სანაპირო ზოლს ახლა მხოლოდ დაფიონი აჩენდა მკრთალად. კაპელმეისტერმა თვალი დაადგა პლაჟიდან შეთხელებული ნაძვნარისაკენ გაბმულ ვიწრო გზას, სადღაც რომ უჩინარდებოდა. არა, გერჰარდმა იცოდა, რომ ეს გზა ზედ ტყვეთა ბანაკს ადგებოდა. უნებურად უკან მიიხედა, მაგრამ გამოვლილი გზითვე დაბრუნება უფრო გრძელი და სახიფათო ეჩვენა. გაახსენდა, რომ ბანაკის მახლობლად ყოველთვის დაბორიალებდნენ სამორიგეოდ გამწესებული მცველები. ფეხის თრევათრევით დაადგა ბილიკს.

ნაძვნარში რომ შევიდა, დღის მიბნედილმა შუქმა კიდევ ერთხელ იფეთქა წამით. გერჰარდის გაქვავებულ მზერას შერჩა რამდენიმე ნაძვისა და მათ შორის გაწოლილი ულაზათო ბარაკის შავი სილუეტი. როგორც კი მცირე აღმართი აათავა, ბარაკის სიღრმეში ერთადერთი ლურჯშუშიანი ლამფა აჭიატდა ცივად. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ამ დროს გაიგონა სიმღერა. ყურს არ დაუჯერა. შესდგა და წინგადახრილი, სმენად იქცა. ეს იყო უცხო სიმღერა, სიმშვიდის მომგვრელი და ნაღვლიანი.

„ალბათ, მათებურია“, — რატომღაც შვებით ამოისუნთქა კაპელმეისტერმა და თითქოს ერთბაშად მხრები დაუმსუბუქდა. უფრო თამამად განაგრძო გზა და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ტყვეები დალანდა, მკრთალ ლურჯ შუქს ოდნავ მოესირმა მათი გარინდული ფიგურები. ეტყობოდა, გადაჭრილ ხეზე ისხდნენ, ზურგით.

კაპელმეისტერი უკვე სიამოვნებით უსმენდა. ერთადერთი, რაც აშინებდა, ის იყო, რომ სიმღერის დამთავრებამდე არ შეემჩნიათ... უცებ ლურჯ შუქს რაღაც გადაეფარა წამით და გერჰარდმა კარგად გაარჩია ერთბაშად ადგილზე წამომართული ტყვე. იგი თითქოს შემობრუნდა კიდეც და კაპელმეისტერმა სული გაკმიდა.

— ეფრეიტორი! — გარკვევით გაიგონა მან.

ეს ხმა ტყვიასავით მოხვდა გულზე გერჰარდს და უნებურად ხელი რევოლვერზე იტაცა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ტყვეები არც განძრეულან. მხოლოდ ერთხელ ოდნავ შექანდა სიმღერა, რომელიც ახლა უფრო ხმამაღლა ისმოდა.

ასე მოულოდნელად მოვლენილმა უშფოთველობამ მოხუც კაპელმეისტერს გუნება გამოუცვალა. უნდოდა, სიმღერა კიდევ ერთხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ სიმღერა შეწყდა. არც ახლა განძრეულან. მხოლოდ ის ერთი წამოდგა ისევ და უკვე სხვა, აშკარად გამოცვლილი ხმით წარმოსთქვა:

— ბიჭებო, ძია გერჰარდი!

ტყვე ჯარისკაცები ერთად წამოიშალნენ ფეხზე და გერმანელისაკენ შემობრუნდნენ. თმაჭაღარა კაპელმეისტერი შეატოკა მათმა გამჭოლმა მზერამ. უნებურად თითქოს თავადაც დაუწყო შეთვალიერება საკუთარ თავს და უცებ, სრულიად მოულოდნელად, რაღაცის შერცხვა. არა, მან აშკარად დაინახა საქციელწამხდარი საკუთარი სახე, რომელსაც აქამდე აფარებული

ჭქონია ბრმა, ბრიყვული მტრობის, ბატონკაცობის ნიღაბი, რამდენად სასაცილო უნდა ყოფილიყო ამ ამაყი, შავგვრემანი ბიჭების თვალში. ამიტომ თუ გადაურბენდა ხოლმე მათს სახეებს დამცინავი ღიმილი, როცა გერჰარდი, მოვალეობის გულისათვის, რაღაცაზე ახირდებოდა და არაბუნებრივი ხმით აყვირდებოდა. საბედნიეროდ, ძველი კაპელმეისტერი ამას წონასწორობიდან არ გამოჰყავდა. პირიქით, რატომღაც, ერთბაშად ცხრებოდა. მაინც მუსიკოსის სული იცავდა ცოფისაგან...

ახლა გერჰარდი გრძნობდა, რომ ბევრი რამ ამიერიდან იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცეოდა ამ წუთს. მაგრამ გონება არაფერს კარნახობდა. უცებ, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, ადგილზე შექანდა. მხედრულ ყაიდაზე გასაჭიმავად ასხლეტილი ფეხი მაშინვე მოადუნა და ტყვეებისაკენ წავიდა რბილი ნაბიჯებით.

ტყვე ჯარისკაცებს რომ გაუსწორდა, თავში ისეთმა აზრმა გაურბინა, ერთბაშად დაფეთდა. ეს აზრი საშიშ ახირებად ჩათვალა, მაგრამ მაშინვე რაღაც გამომწვევი ჟინი დაეუფლა.

იმ ღამით გერმანიიდან დაშორებით, საქართველოდან ძალიან შორს, ჩრდილოეთის ზღვაში ჩაკარგულ პატარა კუნძულზე, ლურჯშუშიანი ლამფით მკრთალად განათებულ ბარაკში ხანოტო ფურცელზე გადავიდა სიმღერა, სხვა უკეთესი ჟამის მაუწყებელი.

გერჰარდს სიტყვებიც უთარგმნეს. მათი აზრი თითქოს ნაცნობი ეჩვენა.

მოხუცმა კაპელმეისტერმა რამდენიმე დღე იჯახირა ამ სიტყვების ლექსად გამართვაზე. ერთი კოჰლი. ოკრო-ბოკრო რამ გამოუვიდა, მაგრამ თავს მაინც ნეტარების მწვერვალზე გრძნობდა. ოდესღაც აქტიური, მაგრამ შემდეგ იმედგაცრუებული პაციფისტის გული ნელ-ნელა იღვიძებდა. უჩვეულოდ აღტყინებულმა, ბოლოს ეშმაკსაც მიაფურთხა, ნოტები და ლექსი გადაათეთრა და მისებრ ხანშიშესულ, მუსიკისმოყვარულ რეზერვისტს გააცნო. სიმღერა მთელ კუნძულზე გავრცელდა. მაგრამ. არც კაპელმეისტერმა და არც სხვა გერმანელებმა არ იცოდნენ, თუ რაოდენ ზედმეტი იყო ლექსის თარგმნა. ეს ლექსი, უბრალოდ, გერმანულად იყო დაწერილი და იგი ეკუთვნოდა ჰაინრიხ ჰაინეს, ფაშისტთაგან აუტოდაფეზე გაგზავნილ პოეტს.

გერჰარდ კრაუზემ და მისმა შეფმა არც ის იცოდა, კუნძულზე დამკვიდრებული სიჩუმე მოჩვენებითი რომ იყო. შავტუხა ბიჭებს, რომელთაც მანამდე არაერთხელ გაუსწორებიათ თვალი სიკვდილისათვის, ესმოდათ მოახლოებული გამარჯვების გუგუნი და ემზადებოდნენ. და ბოლოს აჯანყების დროშაც აღმართეს.

გერმანელებმა კუნძულზე სასწრაფოდ გადისროლეს ესესელთა ნაწილი. გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპა ბევრი... ალბათ ისინიც, რომლებიც იმ ღამით მღეროდნენ და ისიც, ვინც ეს სიმღერა გულით აიტაცა, მშობელი ხალხისათვის დასაბრუნებლად, მოახლოებული მშვიდობის მაცნედ.

□

„მაქსიმ გორკი“ მიაპობს ოკეანის სივრცეს.

ომის შემდეგ დაბადებული ახალგაზრდები სინათლით სავსე სალონში მღერიან ძველ, კეთილ სიმღერას. ეს სიმღერა გერმანელ ტურისტებს ძალიან მოსწონთ. მათ შორის მრავლად არიან მეგობრები, ალბათ, არიან ისეთებიც, რომელთა სულს ამძიმებს ფაშიზმის შავი სირცხვილი. არც ის ვიცი, რა უტრიალებთ გულში, როცა მდუმარედ ჩაუვლიან გვერდზე ბერლინის ამღებ ჯარისკაცებს, დღეს გემზე მშვიდობიან სამსახურს რომ ეწევიან.

სამაგიეროდ, აშკარა და ხილულია მეგობრული კეთილმოსურნეობის გრძნობები, განწყობილება. ოდინდელი გაფუყული ქედმაღლობიდან თითქმის არაფერი დარჩენილა. დღევანდელი გერმანელები, ხნიერნიც და ახალგაზრდებიც, გემის ეკიპაჟის წევრებთან ერთად ხარობენ სამეჯლისო საღამოებსა და შეხვედრებზე. ზოგიერთები „საბჭოურ შოუსაც“ უერთებენ ხმას. მღერიან „კალინკას“, „სულიკოს“, აჟღარუნებენ ბალალაიკას, არ თაკილობენ იცეკვონ ოფიციანტ გოგონებთან და მატროსებთან. სამახსოვრო სურათებსაც ხშირად იღებენ...

„ტურფავ, ტურფავ, რად მემდური, —
მუაცურე ჩემსკენ ნავი...“

სალონში იღვრება ნაცნობი მელოდია, რომელიც ამიერიდან ჩემს პატარა მეგობარს — გერმანელ ბიჭს მომაგონებს.

ჩვენ ისევე მოულოდნელად დავცილდით ერთმანეთს, როგორც შევხვდით. ბორიას მშობლებს, რაღაც მიზეზით, შეუწყვეტიათ დედამიწის გარშემო მოგზაურობა. სინგაპურიდან გაფრენილან შინ.

...ოკეანის სივრცეებზე ეშვება ბინდი.

ელექტროლამპიონებით გაჩახჩახებული ლაინერი მიცურავს მექსიკის ნაპირებისაკენ.

სალონი კვლავინდებურად სავსეა ტურისტებით. „ოროველა“ კვლავ მღერის ძველ, კეთლხმოვან ქართულ სიმღერას, რომელიც ამიერიდან ყოველთვის მომაგონებს პატარა გერმანელ ბიჭს.

მას თუ ვაგონდები?!

არა მგონია არ ვახსოვდე. სხვა თუ არაფერი, ვეფხვს შეჭიდებული მოყმის ხატება მაინც გაახსენებს ჭალარა ძიას.

მე საქართველოში ჩემ შვილებს ჩავუტან პატარა მომხიბვლელი გერმანელი ბიჭის ამბავს და მის ბავშვურ საჩუქარს. იმ ასაკს გადაცილებული არიან, როცა ასეთი სათამაშოებისათვის ჭკუას კარგავდნენ, მაგრამ ვიცი, გული არ მოუთმენთ. ერთხელ მაინც არ ააწყონ ზღვის ბობოქარ ტალღებს შეჭიდებული ხომალდი. ბავშვობის ფერადმა სიზმარმა ეს დაუდეგარი, აფრებდაბერილი ხომალდი იქნებ შორეულ სივრცეებშიც შეაცუროს სამოგზაუროდ, ოცნების ახალი კონტინენტების აღმოსაჩენად...

კურთხეულ იყოს ლექსი-სიმღერა. რომელიც უხმობს ოცნების თეთრ აფრებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარა რეცენზია




# როცა ლექსს ვწერ

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ: „ის, რაც პირველ წუთს მოგწონს, ყოველთვის როდია ყველაზე უკეთესი რამ“. შეიძლება ეს ასეც იყოს, ამიტომ თითქოს უმჯობესია ნაწარმოებზე არ ვიმსჯელოთ პირველი შთაბეჭდილებით, მაგრამ ხშირად ხდება, როდესაც ერთხელ წაკითხულ წიგნს ხელმეორედ ვკითხულობთ, აზრი და შეხედულება მაინც არ იცვლება. პირველი გრძნობა კი ნამდვილად ღრმავდება, რა თქმა უნდა, თუ საქმე გვაქვს კარგ წიგნთან. სწორედ ასეთი წიგნია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ამას წინათ გამოცემული ოთარ მამფორიას ლექსების შედარებით სრული კრებული.

ოთარ მამფორიამ მკითხველს გული გადაუშალა და მშობლიურ მიწაზე მოგზაურობისას, რაც ნახა და განიცადა ყველაფერზე გულწრფელად მოგვითხრო.

პოეტს ყველასათვის სიკეთე სურს, მისი ყველაზე დიდი ბედნიერება ოჯახი და შვილია, ახარებს მეგობრებთან შეხვედრა და ურთიერთობა. რაც მთავარია, მისთვის, გ. დერჟავინის სიტყვებით რომ ვთქვათ: სამშობლოს ბოლიც კი ტკბილია და საამო. სწორედ ამით აიხსნება, რომ მის პოეზიაში მამულის თემას, პეიზაჟს ესოდენ დიდი ადგილი უჭირავს.

„როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია, საქართველო ჩირაღდანად მინთია. შავი ზღვიდან მოვარდნილი ქარი ვარ, ქოხის ბუხრის ცეცხლის ნაპერწკალი ვარ და ამ მიწას ვკოცნი, როგორც მინდია“.

პოეტისათვის ეროვნული იდეები და ინტერნაციონალიზმი განუყოფელია. იგი მხურვალედ ეწაფება რუსული კულტურის საუკეთესო წყაროებს და ლექსში „ღამე იასნაია პოლიანაში“ გამოხატავს თავის უზომო სიყვარულსა და პატივისცემას მსოფლიო პროზის ტიტანის — ტოლსტოისადმი.

პოეტის გული ანთებულია სიმართლის ცეცხლით, მის ლექსებში ვერ შეხვდებით თუნდაც ერთ ყალბ მუსიკალურ ნიშანს. ადამიანი ყოველთვის ერთ გუნებაზე როდია, მით უმეტეს, პოეტი.

„მამის საფლავზე“, „დაღუპულ ქართველ ალპინისტებს“... ეს არის სევდიანი გულის ამონაკვნესი, ხოლო ლექსები „ყვავილების გამოფენა“, „როცა ლექსს ვწერ“... თავისი შინაარსით ოპტიმისტურიც გახლავთ. ასე რომ, გარემოება და განწყობილება განაპირობებს ლექსის ხასიათს, იდეურ მიმართულებას.

რა თქმა უნდა, ხელოვნებაში, ლიტერატურაში ნიველირება დაუშვებელია, რადგან ცხოვრებაში გვხვდება როგორც კარგი, საშუალო, ისე მხატვრულად მდარე ნაწარმოები. მაგრამ არსებობს მეორე მხარეც. ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოები ნამდვილად იმსახურებს ქებასა და მაღალ შეფასებას, ჩვენ კი მის შესახებ გაბედულად რატომღაც არაფერს ვამბობთ. მაგალითად, ოთარ მამფორიას პატარა ლექსები, რომელთა საგანი სიყვარულია, სატრფიალო ლირიკის იშვიათი ნიმუშებია, მაგრამ მათზე ჯერჯერობით შესაფერი სიტყვა არ თქმულა.

„ამაოდ გეძებ, მაინც არ ვცხრები, თბილისში არ ხარ, ფიქრებს დავნებდი, დახურულია შენი ფანჯრები, როგორც ძილის დროს შენი თვალები. ეს მეეზოვე, დილაადრიან, შენი სახლის წინ ხვეტავს ქვაფენილს. ახლა მე მასთან ყოფნა მწადია, მას ვესაუბრო, სხვა არაფერი. არა, არ ვეტყვი, ასე თუ გეძებ, მხოლოდ მივალ და დავესალმები — და ვთხოვ ამ კიბის საფეხურებზე დასტოვოს შენი ნატერფალები“.

ამ ტიპის ლექსებში გრძნობა და ემოცია ლაკონიურად არის გამოთქმული, ეს პოეტის ერთ-ერთი მთავარი ღირსება გახლავთ.

ოთარ მამფორიასათვის სახე თვითმიზანი როდია, არამედ მხატვრული აზროვნების ნაწილია. ამიტომაა მისი ლექსები მტკიცედ შეკრული, ჰარმონიული, ნათელი, გამჭვირვალე და ყველასათვის მისაწვდომი.

ო. მამფორია ნამდვილი ფერმწერია; მის მიერ დახატულ სურათს ვხედავთ და ვტკბებით:

„არის ფერთა ციმციმი, სინაზე და შრიალი, ყვავილების ცილობა არ დამცხრალა დილიდან, ზამბახს გაჯიბრებია ვარდი ცვარნამიანი, სურნელს აფრქვევს მიხაკი, ყელს იღერებს გვირილა. შენ კი სად ხარ, ყაყაჩო, ხალი რად არ მოგიჩანს, საქართველოს მინდვრების თვალგიშერა ასულო?! შენ ისეთი კარგი ხარ, წამწამგადარაზული, ალბათ, გამოფენაზე დედამ არ გამოგიშვა“ („ყვავილების გამოფენა“).

ბოლოს და ბოლოს რაში გამოიხატება პოეტის თანამედროვეობა?

პატიოსნებასა და ზნეობრივ სიწმინდეში, ქვეყნის სიყვარულში; მისი ლექსები ადამიანს ეხმარება მშვენიერებისა და კეთილის აღქმაში, შინაგან ზრდაში, სულის გაკეთილშობილებაში.

ერთი პოეტისაგან ესეც კმარა.

**ვლადიმერ ჯიბუტი**

# ნატო ვაჩნაძის ოჯახი... ჩერნიგოვში



ვაჩნაძიანთ ოჯახი სტუმართან ერთად. მარჯვნიდან მარცხნივ — დგანან: უჯახის უმცროსი ქალიშვილი ალისა, ბორის სერგის ძე ვაჩნაძე, ინესა ვაჩნაძე; პირველ რიგში ზის ნატო ვაჩნაძე.

ჩერნიგოვში შემთხვევით მოვხვდი.

ცნობილ სპასკის ტაძარს ვათვალიერებდი, წერწეტა, თაფლისფერთვალება ქალიშვილი რომ მომიახლოვდა და მორიდებით მკითხა:

— უკაცრავად... ძალზე დამაინტერესა თქვენმა ქუდმა... ასეთი ორიგინალური თავსახური არსად მინახავს. ხომ ვერ მეტყოდით, რომელი ხალხისაა იგი?

და კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა ჩემი განუყრელი სვანური ქუდი.

— ეს ქუდი ქართველ ხალხს ეკუთვნის. იალბუზი ხომ გაგიგონიათ? იქ ერთი გადასასვლელია, ბეჩოს ეძახიან. გადაივლით ამ გადასასვლელს და თოვლით დაფარული მწვერვალებით გარშემორტყმულ, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში სვანეთში მოხვდებით. აქაური მკვიდრნი ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი სიმამაცით და ვაჟკაცობით. ეს ქუდი მათი ნახელავია. სახელიც შესაბამისი ქვია — სვანური ქუდი.

ქალიშვილმა თავი ჩაღუნა და ჩურჩულით თქვა:

— გინდათ ერთი საიდუმლო გაგანდოთ?

ჩემს გაოცებულ სახეს შეავლო თვალი და მაშინვე დასძინა:

— იცით, მეც ქართველი ვარ!

სიამაყით შემომაჩერდა. ეტყობოდა, თავისი ნათქვამის ეფექტს ელოდა დაინტერესებით.

გაოგნებული ვიდექი. ყველაფერს ველოდი, მაგრამ ამ ქალიშვილის ქართველობა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. შეხვედრის ადგილი, ქალიშვილის უკრაინული კილო. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩემი მოსაუბრე თითქმის არაფრით განსხვავდებოდა სხვა უკრაინელი გოგონებისაგან, სრულიად ბუნებრივს ხდიდა ჩემს გაოცებას.

— ალბათ ამიტომ უფრო მომწონს თქვენი... არა, თქვენი კი არა, ჩვენიეროვნული ქუდი...— ღიმილით მითხრა ქალიშვილმა.

არც დავფიქრებულვარ, ისე გავუწოდე ქუდი:

— რაკი თანამემამულე ყოფილხართ, სამახსოვროდ უნდა მიიღოთ ეს მცირე საჩუქარი!

ქალიშვილმა მადლობა გადამიხადა, ბალახს დასწვდა, ერთი ღერო მოწყვიტა და კბილებით დაუწყო წიწკნა.

— დედა ტაძარს აცნობს ექსკურსანტებს. მალე განთავისუფლდება, — ცოტა ხნის შემდეგ მშვიდად მითხრა ქალიშვილმა, — მოვა და იგი უკეთ გაგაცნობთ ჩვენს ოჯახს — ჩერნიგოველ ვაჩნაძეებს.

მერე ხელი გამომიწოდა და ღიმილით დაამთავრა:

— ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე ნატო ვაჩნაძე გახლავართ!

— ნატო ვაჩნაძე?! მერედა იცით, ვინ იყო თქვენი დიდი სეხნია?

— მხოლოდ ფოტოსურათებიდან და დედის მონათხრობიდან ვიცი. დედა პედაგოგი და თეატრმცოდნეა. ალბათ დიდი მსახიობის პატივსაცემად შემარქვა მისი სახელი — ნატო...

ინესა ვაჩნაძე

## ჩემო გულის ერთადერთო!

დესნის პირას მიმღეროდა
დედა ხმატკბილ ნანას,
ზეცისფერი თვალები მაქვს
გოგოს ალვისტანას;

ოქროსფერი დალალები
მიმშვენებენ სახეს,
თოვლისა მაქვს მკლავები და
მარწყვისა მაქვს ბაგე;

მივენდობი ირმის ფეხებს —
დავქრი გედისყელა...
მოდი, დარდი თუ გაქვს რამე,
გაგიქარვო ხელად;

ჭიდან ცივ წყალს ამოგიღებ,
ჯერ მოითქვი სული,
თან ხელდახელ ავაფრინო
ღუმელიდან პური;

წინ გაგიწყობ კოხტა სუფრას,
გული შეიჯერე
და ქათქათა სარეცელში
მოგასვენებ მერე.

შენს სარკმლის წინ, როგორც გვრიტი,
ვიღუღუნებ ტკბილად,
დღე ცისმარე მზესთან ერთად
რომ ხვდებოდე დილას,

რომ ამღერდე იმგვარ ეშხით,
სხვაც აავსო ლხენით,
რომ არასდროს დაივიწყო
გულისსწორი შენი;

გიწილადებ დესნის ზვირთებს,
ვარსკვლავების არილს,
ხავერდოვან მინდორ-ველებს
გაბრწყინებულს ცვარით!..

მოდი, გელი რა ხანია,
ნუ დადიხარ მარტო,
ჩემო გულის ერთადერთო,
ჩემო გულის დარდო.

უკრაინულიდან თარგმნა
ამირან ასანიძემ

— დედაც ქართველია?

— დედა უკრაინელია. იგი დიდი პატივისმცემელია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების. თვითონაც წერს ლექსებს... აგერ, დედაც მოდის!..

მოახლოებულ ჯგუფს ერთი ქერათმიანი, ლურჯთვალება ახალგაზრდა ქალი გამოეყო და ჩვენსკენ გამოემართა.

ნატომ მოკლედ მოუთხრო დედას ჩვენი გაცნობის ამბავი. ახლადმოსულმა მაშინვე გამომიწოდა ხელი:

— ინესა ივანოვნა ვაჩნაძე.

მეც წარვუდგინე ჩემი თავი.

ასე მოვხვდი სტუმრად ჩერნიგოვში, ერთადერთ ქართულ ოჯახში — ვაჩნაძეებთან.

●

კეთილი ღიმილით შეგვხვდა ოჯახის უფროსი ბორის სერგეევიჩი — ორმოცდახუთიოდე წლის ტანმაღალი, მხარბეჭიანი, ოდნავ მწითური მამაკაცი.

— დღეს ადრე მოვბრუნდი შინ... თითქოს გულმა მიგრძნო, სტუმარი რომ უნდა მომსვლოდა საქართველოდან, — ღიმილით მითხრა მან და სავარძელზე მიმითითა, — საერთოდ, გვიან ვბრუნდები ხოლმე სამსახურიდან. მოგეხსენებათ მშენებელი კაცის ამბავი: პროექტების განხილვადამუშავება, სოფელ-დაბებში ხეტიალი...

მალე ისეთი განწყობილება შეიქმნა ვაჩნაძეების ოჯახში, თითქოს მართლაც დიდი ხნის უნახავი ღვიძლი ნათესავი ჩამოსვლოდათ შორეული მხრიდან.

— სანამ თქვენ ისაუბრებთ, მანდილოსნები სამზარეულოს მივხედავთ, — თქვა ინესა ივანოვნამ, ნატოზე და მეორე, უმცროს ქალიშვილ ალისაზე გვანიშნა, —სადილად უკრაინულ კერძებთან ერთად თქვენებურ ეროვნულ საჭმელებსაც შემოგთავაზებთ...

ბორის სერგეევიჩმა მაცივრიდან „ბორჯომი" გამოიღო და მაგიდაზე დადგა.

მაგიდის გვერდით წიგნების ვეებერთელა კარადა დგას. დიდი კობზარის — ტარას შევჩენკოს ერთტომეულის გვერდით შოთა რუსთაველის პორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის" უკრაინული გამოცემა დევს. იქვე ვნახე ზაქარია ფალიაშვილის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური სიმღერების ნოტების კრებული, „მერანის" მიერ გამოცემული წიგნები: ირაკლი აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე", რევაზ მარგიანის „ლილე", ნოდარ დუმბაძის მოთხრობების კრებული, კობა გურულის ნამუშევრების ალბომი, ლია სტურუას ლექსები „ანტენა ქალაქის თავზე" და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებები.

„ბორჯომი" შევსვით და მაგიდასთან ჩამოვჯექით.

გულითადი საუბრისათვის ორივე მზად ვიყავით.

●

სამი საუკუნის ისტორია აქვთ ჩერნიგოვში მცხოვრებ ვაჩნაძეებს.

აღსანიშნავია, რომ მეფე ვახტანგ მეექვსის

ამალის შემადგენლობაში არ ყოფილა თავადი ვაჩნაძე, ჩემი დღევანდელი ჩერნიგოველი მასპინძლების შორეული წინაპარი.

ს. ყუბანეიშვილის წიგნში „დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში" მოყვანილ პოლკის შემადგენლობაშიც არ ჩანს ვაჩნაძის გვარი. ამდენად, ჩერნიგოველ ვაჩნაძეთა გენეალოგია და წარსული დაზუსტებას საჭიროებს. არ არის გამორიცხული, რომ თავადი ვაჩნაძე შემდგომ წლებში შეემატა ქართულ ჰუსართა პოლკს. გ. ლეონიძე წერს: „ქართველ ჰუსართა პოლკის ახალი როტების ჩამოსაყალიბებლად სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა ბერი გარაყანიძე ყიზლარსა და ასტრახანში და მაშინვე ჩამოაყვანინა 150 ქართველი. ამის შემდეგ ხსენებული პოლკი ყოველწლიურად ივსებოდა უმთავრესად ნატყვევართა ან საქართველოდან ლტოლვილი ქართველებით" (გ. ლეონიძე, „გამოკვლევები და წერილები", 1958 წ. გვ. 240).

ადვილი შესაძლებელია, თავადი ვაჩნაძე სულ სხვა სამხედრო ნაწილში მსახურობდა. გ. ლეონიძე იმავე შრომაში აღნიშნავს: „ქართველ ჰუსართა პოლკის გარდა, ქართველობა მსახურობდა სამხედრო ნაწილებში, როგორც პრეობრაჟენსკის ხემიონოვის გვარდიის ნაწილში, ვიატკის, ხორვატსკის ინდერლანდიის პოლკებში, აგრეთვე ფლოტშიც" (იქვე. გვ. 249).

ახეა თუ ისე, საუკუნეებს თავისი გაუტანია. შესისხლხორცებიან უკრაინელ თანამოძმეებს ქართველი ვაჩნაძეები, მათი ჭირი და ლხინი, მეგობრობა და სიყვარული გაუზიარებიათ. გვარი კი, გვარი შორეული წინაპრისა არ შეუცვლიათ. და აი, დღეს ჩერნიგოვში ქართული სტუმართმოყვარეობით მეგებებიან ვაჩნაძეები საქართველოდან ჩასულ თანამემამულეს.

ბორის სერგეევიჩი ობლობაში გაზრდილა. მამა სამამულო ომში დაღუპვია, ადრე დაკარგვია დედაც. ობოლ ბიჭს ჩვენი სოციალისტური სამშობლო შეეხიდა. ასე დაამთავრა მან საშუალო სკოლა, მერე კიევის სამშენებლო ინსტიტუტი და დღეს ჩერნიგოვის საოლქო კოოპკავშირის მშენებლობის დარგს ხელმძღვანელობს. უნარიან ინჟინერს, ოჯახის შესანიშნავ მამას სწორედ რომ სამაგალითო მეუღლე შეხვდა ინესა ივანოვნას სახით.

ინესა ივანოვნამ ჩერნიგოვის პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კიევის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტიც დაამთავრა. ახლა იგი კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობს დაუსწრებლად. მუშაობს ჩერნიგოვის № 3 სამშენებლო პროფსასწავლებელში, ასწავლის ესთეტიკასა და ისტორიას. ხშირად კითხულობს ლექციებს ისტორიული კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების თხოვნით.

ჩერნიგოველი ნატო ვაჩნაძე 1957 წელს დაიბადა. მას ჯერ კიდევ სკოლის ასაკამდე ძალიან შეუყვარდა მუსიკა. შემდეგ ალბათ ამიტომაც დასთმო სხვა გატაცებები: თეატრალური ხელოვნება და ფერწერა. ნატომ ჩერნიგოვის მუსიკალური სკოლა დაამთავრა.

ნატოს უმცროსი და ალისა წელს საშუალო სკოლას ამთავრებს. შესანიშნავი მომღერალი და მოცეკვავე ძალზე გატაცებულია მოგზაურობით. მაგრამ, როგორც იტყვიან, მისი ჰობი მაინც ფერწერაა.

ჩერნიგოვი უკრაინის უძველესი ქალაქია, და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს სტუმართმოყვარე და თბილი ოჯახი ვაჩნაძეებისა, რომელიც თავისი შესანიშნავი შემადგენლობით კიდევ ერთ მოკრძალებულ, მაგრამ მკაფიო ფურცელს წერს ქართველი და უკრაინელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმური მეგობრობის ისტორიაში.

ჯემალ მეძლიშვილი



# გუნდის კაპიტანი

გიჟიკო ქორქია

საოცარი რამაა ფეხბურთი — უცნაური, მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე. პარადოქსულს და გაუგებარს იქ რამდენსაც გნებავთ, იმდენს ნახავთ.

ჩვენ, მაგალითად, გვყავდა ბრწყინვალე ცენტრალური თავდამსხმელი ბორის პაიჭაძე, რომელიც არასოდეს არ თამაშობდა თავით. პარადოქსია აბა რაა: ასეთი კლასის ცენტრფორვარდი და არ თამაშობდეს თავით.

ჩვენ ვიცით ფეხბურთელები, რომლებსაც სწრაფად რბენა სულ არ შეუძლიათ, ე. ი. არ გააჩნიათ წმინდა მძლეოსნური სპრინტი, მაგრამ ფლობენ ე. წ. სპეციფიკურ საფეხბურთო სისწრაფეს, რომელიც მათ საშუალებას აძლევს მეტოქეზე მუდამ უფრო სწრაფად გააკეთოს ყველაფერი, რაც კი ფეხბურთის მწვანე მინდორზე ხდება დაუნდობელი ორმხრივი ბრძოლის დროს. ასეთი თითქოს „დინჯი", მაგრამ ფეხმარდი მოთამაშე იყო, თუნდაც, ავთანდილ ღოღობერიძე.

ჩვენ ვიცით ტანმომცრო მოთამაშეები, რომელთა სიმაღლე 1 მ 65 სმ ფარგლებში ტრიალებს, მაგრამ საჰაერო დუელებში ისინი სისტემატურად სჯობდნენ ისეთ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მათთან შედარებით ნამდვილ გოლიათებად და გულივერებად ჩანდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, მიხო ჭელიძე, თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი, რომელიც გულზე ხუთქავდა ვეება სიმაღლის, ახმახ მოპირდაპირე ფორვარდებს, ისე ხუფთად აართმევდა ხოლმე ბურთს ცხვირწინ.

ერთი სიტყვით, ფეხბურთში ბევრი რამაა პარადოქსული და ერთ-ერთ ასეთ ფიგურად მე წარმომესახება თბილისის „დინამოს" ახლანდელი კაპიტანი, შესანიშნავი ნახევარმცველი, დაუოკებელი ტემპერამენტითა და აზარტით აღსავსე სპორტსმენი მანუჩარ მაჩაიძე.

დინამოელთა ახლანდელი თაობის წარმომადგენლებს შორის მანუჩარ მაჩაიძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ფეხბურთისთვს ახალგაზრდაათ ვერ იტყვი: 28 წლისაა მიღწეული, 200-ზე მეტი მატჩი ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატებში და 3 ათეულზე მეტი ბურთი გაიტანა, სხვადასხვა დროს ნათამაშევი აქვს საბჭოთა კავშირის პირველ, მეორე, ოლიმპიურ, ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში, მოვლილი აქვს ცა და ქვეყანა, იმდენი რამ უნახავს თავისი საფეხბურთო ჩანთით ხელში, შურით აღავსებს რომელიც გნებავთ ნავალ გეოგრაფს.

საფეხბურთო სიმწიფეში მანუჩარ მაჩაიძემ კარგა ხანია შედგა ფეხი. მას ამ სამყაროში ზედმიწევნით იცნობენ, აფასებენ, პატივს სცემენ. ეს რომ არა, განა მიიწვევდა 1971 წელს თავის გამოსათხოვარ მატჩში მსოფლიოს ნაკრებთან დიდი მეკარე ლევ იაშინი? ეს ხომ აღიარებათა აღიარება იყო მაშინ ახალგაზრდა მანუჩარისთვის, რომლის ტიტულები ამოიწურებოდა მხოლოდ შეფასებებით— ნიჭიერი, პერსპექტიული, მომავლის მქონე! აი, იაშინის მახვილმა თვალმა კი მანუჩარი გამოარჩია ყველა მათ შორის, ვისი წოდებები და რეგალიები, თითქოს, გაცილებით უფრო მეტად იყო ამ პატივის ღირსი.

როდესაც ჟურნალ „დროშის" რედაქციამ გადაწყვიტა თავის ფურცლებზე დაეთმო ადგილი მანუჩარ მაჩაიძისთვის და ნარკვევის ავტორობა მე შემომთავაზა, გადავწყვიტე წერილის გმირს თავისი ენით ელაპარაკა, მაგრამ „მონოლოგი" რომ ერთფეროვანი არ გამოსულიყო, მოვიშველიე მისივე ადრინდელი მწვრთნელი ივანე შუდრა და პარტნიორები — შოთა ხინჩაგაშვილი და რევაზ ძოძუაშვილი.

მაგრამ მანამდე — მცირეოდენი ბიოგრაფიული ხასიათის რემარკა.

მანუჩარ მაჩიძე დაიბადა 1949 წელს თბილისში, სწავლობდა 114-ე სკოლაში, თავისი ერთი წლით უმცროს ძმა გოჩასთან ერთად დილიდან დაღამებამდე დასდევდა ეზოში ბურთს, რითაც აუწერელ ნერვიულობაში ჰყავდა დედა. მას, როგორც ყველა დედას, სურდა შვილი მუსიკოსად ენახა. შინ კონფლიქტამდე რომ არ მისულიყო საქმე, ოჯახში ასეთი საზავო კონვენცია დაიდო: მანუჩარი მუსიკის გაკვეთილებს არ გააცდენდა, ოღონდ ეზოში ბურთის თამაშის უფლება უნდა მიეცათ მისთვის. ასე იყო ყოველ დღე: ხელი კლავიშზე, ფეხი — ბურთზე. წონასწორობა, თითქოს დამყარდა, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ბიჭს კიდევ ერთი სერიოზული ტალანტი „აწუხებდა"— ჭადრაკისა. აბა, ერთი მიბრძანეთ, როგორ გინდათ დაამყაროთ ჰარმონია 9-10 წლის ონავარ ბავშვში, რომელმაც გაკვეთილებიც მუყაითად უნდა დაამზადოს, მუსიკაშიც ხუთიანები მიიღოს, ფეხბურთშიც არ ჩამორჩეს ტოლ ბიჭებს და ჭადრაკშიც ყურები აუწითლოს შერცხვენილ მოზრდილ ძიებს.

მანუჩარი კი ყველაფერს ამას ასწრებდა. თუ ვინმეს ჩემი ნათქვამი არ სჯერა და ლიტერატურულ გაზვიადებად მიაჩნია, მოვახსენებ, რომ მანუჩარმა მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. ბურთს როგორ თამაშობს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჭადრაკში პირველი თანრიგი აქვს (დაბრძანდით და ეთამაშეთ თუ სურვილი მოგივათ), ხოლო მუსიკაში შეგიძლიათ თავად მასვე თხოვოთ რამე დაუკრას. და დიდადაც ისიამოვნებთ.

აქ სიტყვას ვაძლევთ ფეხბურთში მანუჩარის პირველ მწვრთნელს ივანე შუდრას:

— ძმები მაჩაიძეები შევნიშნე სკოლის ეზოში, ორივე ძალიან მომეწონა. რითი? ეს მარტო მწვრთნელებმა თუ იციან, რითი გამოარჩევენ ხოლმე ბავშვებში თითო-ოროლას ჩვენ რომ პერსპექტიულებს ვეძახით. მოვიწვიე ჩვენს სპეციალიზებულ სკოლაში (უწინდელი თბილისის 35-ე სკოლა). ერთხანს არ ჩანდნენ, მერე, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა დედამ ხელჩაკიდებული მოიყვანა ორივე ძმა — მანუჩარიც და გოჩაც. ცხრა-ათი წლისანი იყვნენ. მანუჩარს გასაოცარი დრიბლინგი ჰქონდა, წინ ვერავინ დაუდგებოდა, გამოირჩეოდა უდიდესი ენერგიითაც. ახლაც მადლობელი ვარ საკუთარი თავის, რომ არ დამიშლია ბავშვისთვის ის, რის კეთებაც მას უყვარდა და შეეძლო. ამიტომაა, რომ მანუჩარისთვის ზოგჯერ 3-4 უძლიერესი ფეხბურთელის წინააღმდეგობა ახლაც ვერაფერი დაბრკოლებაა.

მწვრთნელს ჩუმად შევაპარე:

— დროზე ბურთის მიწოდება რომ არ უყვარს მანუჩარს?

— ეს სადავო საკითხია. ვეთანხმებით, რომ მანუჩარი არაა გამთამაშებელი სტილის, კომბინაციური მოთამაშე, ზოგჯერ ზედმეტადაცაა გატაცებული ბურთის ტარებით, მაგრამ იმას რატომ ივიწყებთ, რომ ბურთს თავისი საჯარიმო მოედნიდან წამოიღებს, მთელ მინდორს გადმოატარებს და ბოლოს ზედ ფეხის წვერზე დაუსვამს პარტნიორს ისე, რომ კარში გატანის მეტი არაფერია საჭირო. ასევე დაწერეთ — კაცი, რომელიც ზედ კარის წინ მოგართმევს ბურთს!

გამახსენდა რეზო ძოძუაშვილის სიტყვები:

— ეს მანუჩარის ნაკლი კი არაა, არამედ მისი თამაშის თავისებურება. იგი მეთაურია თამაშში, ორგანიზატორი, განაგებს მოვლენებს, ამიტომაც მეტ ხანს ატარებს ბურთს. ნუ დაგავიწყდებათ, მანუჩარს ადრე ყოველთვის არა ჰყავდა შესაფერისი პარტნიორები, ბევრი აგვიანებდა გახსნას, ახლა როცა ყიფიანი, ჩელებაძე, შენგელია, გუცაევი მუდმივ მზადყოფნაში არიან, მაჩაიძეც ისე აღარ აყოვნებს გადაცემას, თანაც: რასაც მოგაწვდის, აღარ უნდა ბევრი წვალებობილა.

საინტერესოა შოთა ხინჩაგაშვილის კომენტარიც:

— მანუჩარი ჩვენი წამყვანი მოთამაშე და კაპიტანია, მთავარი დირიჟორი მინდვრის შუაგულში. ჩვენ, მცველები, ერთთავად მანუჩარს ვეძებთ და როგორც კი მას გადავცემთ ბურთს, მაშინვე ვწყნარდებით, ვიცით, რომ იგი თავის საქმეს გააკეთებს, ბურთს არ დაკარგავს და ისე ატარებს, რომ ჩვენ ყველანი მოვასწრებთ საჯარიმო მოედანზე ჩვენი მოწინააღმდეგეების „აყვანას".

სიტყვას ვაძლევთ თვით მანუჩარს.

— დიდ ფეხბურთში 1967 წელს მოვხვდი. ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მივიღე საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი და ჩვენი გუნდის მწვრთნელის ვლადიმერ ელოშვილის რეკომენდაციით ჩავირიცხე თბილისის „დინამოში", ჯერ დუბლიორებში, მერე კი პირველი მატჩიც ვითამაშე ძირითად გუნდში. ეს იყო 1968 წელს, „პახტაკორთან". თამაში მომიწია თავდასხმაშიც, ნახევარდაცვაშიც და ცენტრალურ მცველადაც კი, მაგრამ ჩემი ნამდვილი ადგილი ნახევარდაცვაშია.

თამაშის დროს კარგი ურთიერთმოქმედება მქონდა მეტრეველთან, ასათიანთან, გუცაევთან, ახლა— ყიფიანთან. საფეხბურთო კერპები არა მყოლია, ისე კი ეტალონებად მიმაჩნია შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა და, რა თქმა უნდა, მიშა მესხი და სლავა მეტრეველი. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთაგან — იაშინი. უცხოელებიდან — პელე!

— რას იტყვით საკუთარ თამაშზე?

— მე ნახევარმცველი ვარ, ნახევარმცველი კი აწარმოებს თამაშის რეგულირებას, მან ყველაფერი უნდა შეძლოს, ყველაფერი იცოდეს. ნახევარმცველებს ვყოფ ორ ჯგუფად: ერთნი ძლიერები არიან დაცვაში და შეუძლიათ ზუსტი გადაცემებით იხსნან გუნდი ხიფათისგან, მეორენი შუა მინდორში ეწევიან დიდ სამუშაოს, იმპროვიზაციაც მათი საქმეა. თუ ჰავბეკს ამ ორი თვისების სიმბიოზი აქვს, მივიღებთ ფეხბურთელის იდეალს. ისე კი, მე მგონია, აქცენტი მუდამ უნდა გაკეთდეს ფეხბურთელის ძლიერ მხარეზე, ე. ი. მე შემიძლია ბურთის ტარება, კარში დარტყმა, ამიტომ ვცდილობ, ეს თვისებები რაც შეიძლება მეტად გამოვიყენო.

მერე ღიმილით დაუმატა:

— ახლა ხომ ნაკლებად ვატარებ ბურთს? ვცდილობ, არ დავაყოვნო ბიჭები.

— გაბრკოლებთ თუ არა ძმის ყოფნა მინდორზე?

— თამაში რომ დაიწყება, არც ძმა მახსოვს და არც ბიძაშვილი. ვიცი ერთი: ყველა ფეხბურთელმა უნდა გააკეთოს ის, რაც ევალება და შეუძლია.

— მწვრთნელთაგან ვის ემადლიერებით ყველაზე მეტად?

— კაჩალინს.

— მიგაჩნიათ თუ არა თქვენი თავი ყველაზე კარგ ფეხბურთელად მოჭადრაკეთა შორის და ყველაზე კარგ მოჭადრაკედ ფეხბურთელთა შორის?

— შეიძლება ეს ნაწამდვილევში ასეა, მაგრამ მირჩევნია საუკეთესო ფეხბურთელი ვიყო ფეხბურთელთა შორის და მოჭადრაკე — მოჭადრაკეთა შორის.

— ჭადრაკისთვის რომ იმდენი დრო დაგეთმოთ, რამდენიც ფეხბურთს დაუთმეთ, რა შედეგები გექნებოდათ?

— არ ვიცი. ფეხბურთი ჩემთვის უპირველესი საქმეა.

— როგორია თქვენს ოჯახში დედის დამოკიდებულება ძმების ფეხბურთით გატაცებასთან ახლა, ამდენი ხნის შემდეგ?

— დედა დღესაც ვერ შერიგებია ჩემ ფეხბურთელობას, მაინც მუსიკა ურჩევნია, მე კი დღემდე „ქრთამის" პოლიტიკაზე ვდგევარ. პირველი საჩუქარი, რომელიც უცხოეთში პირველი მგზავრობისას ვიყიდე, დედისათვის იყო.

— თქვენი დამოკიდებულება ძველი და ახალი ფეხბურთისადმი?

— ყველას თავისი დროის ფეხბურთი ურჩევნია და მეც არ წარმოვადგენ გამონაკლისს. ისე კი, ძალიან მაინტერესებს როგორი იქნება ფეხბურთი ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ...

ავტორისგან: მეც ძალიან მაინტერესებს ეს; მაგრამ ერთი კი ვიცი — ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ტრიბუნაზე აუცილებლად იქნება ასეთი საუბარი: გახსოვთ მანუჩარ მაჩაიძე? რას თამაშობდა, როგორ ატარებდა ბურთს! სადღაა ახლა ასეთი ფეხბურთელები?!



## ამ დიდი მზის წილ



გსურდა თუ არა,
მე მაინც მოველ
და ჩემი წილი
ღიმილი გთხოვე,
და ჩემი წილი
ტკივილი გთხოვე.
ეს, რა თქმა უნდა,
არ იყო ბევრი:
ეს, რა თქმა უნდა,
არ იყო ცოტა!
ვინ შემაყარა თვალებში მტვერი,
ვინ შემიბრალა,
ვინ შემიცოდა,
ვინ დამამცირა ამგვარი გრძნობით?!
მე სიყვარულიც
მქონდა და ჰობიც
მე სიხარულიც მსურდა და
ცრემლიც!
შენი ერთგული

და შენი მრწემი
მე სამსახურად მოვედი შენდა!
შენა ხარ ჩემი ხალისიც,
სევდაც,
დედინაცვალიც
და ღვიძლი დედაც!
შენშია ჩემი მზეცა და ნისლიც!
სიცოცხლეს მოგცემ
ამ დიდი მზის წილ,
სიხარულს მოგცემ —
განმიქრეს ნისლი!
არც ვისმე ნეკნი,
ან სხვა რამ ძვალი
ყოვლის საწყისი
ეს მე ვარ —
ქალი!
მე ვიცი ჩემი ფასიც და ვალიც!
ვინ აგარიდა ეკლიან ბილიკს,
ვინ აგარიდა ლორლიან ფერდობს,

ვინ გაგიშალა საწოლი თბილი,
ვინ გაგინათა მზიანი ეზო,
ვინ გითხრა:
ჩემო, შენ ერთადერთო!
მოდის და მიდის
საწუთროს ხიდი
და ცრემლს და ღიმილს
ერთ ფასში ჰყიდის —
განუზომელი ტკივილის ფასში...
მე კი მოვდივარ
და მომაქვს შენთან
ზეიმი ფერთა —
ღიმილი ბავშვის...
გექმნეს კურთხეულ
გზაცა და კვალიც
რამეთუ:
დამდე ასეთი ვალი!

მზია ჩხეტიანი

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა ჟურნალისტისა და ლიტერატორის იური მოსაშვილის წიგნი „პროფილები, დიალოგები“.

კრებულში წარმოდგენილნი არიან ლადო გუდიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, მარტირონ სარიანი, კოსმონავტი ალექსი ლეონოვი, ნოდარ დუმბაძე, ირაკლი ციციშვილი, აზერბაიჯანელი პოეტი ნაბი ხაზრი, რამაზ ჩხიკვაძე, რიგელი არქიტექტორი ივარ სტრაუტმანისი, სოფიკო ჭიაურელი, ზურაბ წერეთელი, ნანი ბრეგვაძე, ირაკლი ოჩიაური, ჯანსუღ კახიძე, მარინე იაშვილი, ოთარ იოსელიანი.

ნარკვევი ელენე ახვლედიანზე, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ, ავტორმა მხატვრის სიცოცხლეში დაიწყო და მისი გარდაცვალების შემდეგ დაასრულა.

ნარკვევი პერიოდულ პრესაში არ დაბეჭდილა.

# Modus vivendi

ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე მსჯელობა მის შესახებ; მხატვრის ცხოვრება — განსაკუთრებით.

როდესაც ცხოვრება დასრულებულია, უცილობელ ფაქტად მარტოოდენ ქრონოლოგია და გარჯის ნაყოფი რჩება. შენს დახვენებს უკვე ვეღარ წარუდგენ იმ ადამიანის მკაცრ სამსჯავროს, ვისზედაც წერ.

თუმცა ქალბატონ ელენეს სიცოცხლეშივე ვარაუდთა „ობიექტურობა“ მხოლოდ მასთან მორიგ შეხვედრამდე ძლებდა, როდესაც ხურვილი შენეული დახვენების შემოწმებისა აწყდებოდა ფსიქოლოგიური დიაგნოზის პრინციპულ უარყოფას: „რა საჭიროა ტვინის ჭყლეტა, ეს ხომ ასე მარტივია. ვხატავ იმას, რასაც ვხედავ.“

რასაც ვხედავ! სწორედ ეს „რასაც“ შეიცავს მთელ არსს.

იგი გულთბილად საუბრობდა მახლობელ ადამიანებზე, შეხვედრებზე, ხალისიანად იგონებდა სიყმაწვილის ხანას, მაგრამ როგორც კი ვინმე ხმამაღლა შეეცდებოდა შემოქმედების პრეპარირებას, მაშინვე როგორღაც იბნეოდა. ჩვეულებრივ გულღიას, ერიდებოდა უცხოს თვალწინ მუშაობა; და ამით შემოქმედებით პროცესს ინტიმურ სფეროს აკუთვნებდა.

სწორია პოსტულატი, რომ ხელოვნება აზრთა წყობაა; სწორია, მაგრამ არასრული. ხელოვნება ცხოვრების წყობა, Modus vivendi.

ჩემი მაშინდელი წინასწარი ჩანაწერები მხატვართან დიალოგის დასაწყისი იყო. აღსრულდა ელენე ახვლედიანი და დიალოგიც შეწყდა. სიკვდილმა სამოცდაათ ოდნავ გადაცილებულს უწია. მაგრამ განა ეს სიბერეა, თუ სიცოცხლეს წამლებით გარშემორტყმულ სარეცელში არ გამოსალმებია, თუ სიკვდილი გზაში დაეწია, ვერნისაჟზე, როდესაც ხელოვნების სადიდებელს ამბობდა.

ცხოვრების წყობაო, ვთქვით; მთელი მისი ცხოვრება: მუშაობა, მოგზაურობა, ადამიანებთან ურთიერთობა, ინტერესები, ფუსფუსი... ყველაფერი ხელოვნებას ემსახურებოდა. მის თავშესაქცევ. ნაამბობს თუ დავუჯერეთ, ყველაფერი შემთხვევის საქმეა. ყველაფერი თავისთავად მოხდა, შემოქმედებაც იოლი იყო და ცხოვრებაც... „განა შემთხვევით არ მოხვდა პიკასო პარიზის პატარა გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო ტფილისის მოტივები და ურჩია ყველასათვის უცნობ ახვლედიანს: „თუ მხატვრობა გინდა, მხოლოდ ეს ხატე!“.

დინჯად მყვება. მოგონებანი დიდი ხნის წინათ გარდასულ წლებს სწვდება, როდესაც ჭერ კიდევ არ ჰქონდა დიდება და არარეალურად გეჩვენება დანაკარგის აუნაზღაურებლობა, სიყმაწვილის მოჯადოებული ოაზისი.

ცხრაასიანი წლების პატარა პროვინციული ქალაქი თელავი, ასე ლალად და ამაყად რომ ეწეოდა საქართველოს ისტორიის ტვირთს, მისივე შესაფერი, არამეფური სენაკი — ბრძენი მეომრის — ერეკლეს დაბადებისა და აღსასრულის მოწმე, თელავის მთელი „გალავანი“, დღენიადაგ რომ თვალწინ ჰქონდა, სამხედრო ექიმმა ახვლედიანმა მოპირდაპირე მხარეს დაიდო ბინა.

მამამისი ბედს კახეთში რომ არ გადაეტყორცნა, იქნებ სულ სხვა გატაცებანი და ინტერესები ჰქონოდა. მისი საყვარელი ტილოები „თელავი“, „კახეთი. ზამთარი“ ვეღარ დაამშვენებდნენ ქართველ პეიზაჟისტთა მემკვიდრეობას.

„ჩემი ბიოგრაფია, როგორ გითხრათ, რაღაცნაირად არაპედაგოგიურია. არავითარი ტენდენციები; ბედნიერი შემთხვევითობანი. თავიდანვე ასე იყო. დავიბადე თელავში. იქ თოთხმეტიოდე წელი ვიცხოვრეთ. მაგრამ ალაზნის ველთან შეხვედრა სიცოცხლის მანძილზე გამომყვა. სანუკვარი მოგონებანი. რა თქმა უნდა, ბუნებას მაშინ არ ვუყურებდი როგორც ნატურას, თუმცა ცოტ-ცოტას ვხატავდი. უფრო მუსიკა მიტაცებდა. ალბათ, ამიტომაა, რომ დღემდე ჩემი უყველაზე დიდი მეგობრები მუსიკოსები არიან. ვსწავლობდი. კონსერვატორიამდეც კი მივაღწიე. მართალია, ვერ ვიტანდი ნოტებს, უფრო ზეპირად, სმენით ვუკრავდი. შემდეგ კი, ტფილისის სახლში (ახლანდელ კლარა ცეტკინის ქუჩაზე) ჩვენს ზემოთ ცხოვრობდა მხატვარი სკლიფასოვსკი. კერძო კლასი ჰქონდა. განა ეს შემთხვევითობა არ არის? (ნუ გეცინებათ! საერთოდ, ახლა აქ რომ ვზივარ და გესაუბრებით, ბედნიერი შემთხვევაა. თელავში ჩემმა ძმამ ვილბელმ ტელობა მოისურვა. თავზე ბოთლი დამადგა და მამაჩემის დენშჩიკის პისტოლეტი მბეთქა. კიდევ კარგი, ვაშლი ვერ იშოვა, ბოთლს კი მოარტყა)“.

პლენერის სიყვარული სკლიფასოვსკისაგან გამომყვა. ეტიუდი, ეტიუდი და ისევ ეტიუდი... („ახლა რატომღაც კლასებში იკეტებიან“). შემდეგ ახვლედიანი გახდა ქართველ მხატვართა გამსვლელი ბრიგადების ინიციატორი და სულისჩამდგმელი — საეტიუდო ყუთით შემოიარა კახეთი, გურია, იმერეთი. ყოველი ასეთი მოგზაურობის შემდეგ სახელოსნოში გვიან ღამემდე ბჭობდა შემოქმედებითი შტაბი — იხილავდნენ მომავალი გამოფენის გეგმას. მათგან ყველაზე შეუდრეკელნი ახვლედიანთან ერთად ბოლო დრომდე დადიოდნენ საქართველოს მთასა და ბარში.

„აკადემიური გაგებით, სკოლა ახვლედიანს არ გაუვლია“, — გვაუწყებენ სპეციალური გამოცემანი. „აკადემიური გაგება“ — ეს არის ნახატი, კომპოზიცია, პერსპექტივის კანონები, ხელოვნების თეორია. რა თქმა უნდა, აკადემიაში გატარებული რამდენიმე თვე, თუნდაც ისეთ ოსტატთან, როგორიც გიგო გაბაშვილია, სკოლას არ ნიშნავს. მაგრამ ახვლედიანმა, როგორც აკადემიის სტიპენდიანტმა, რომსა და ფლორენციაში წელიწადნახევარს დაჰყო. შემდეგ — პარიზი, კოლაროსის „თავისუფალი აკადემია“. ნამუშევართა ექსპოზიცია „დამოუკიდებელთა“ სალონში იმ დროისათვის უკვე გამოცდილ დ. კაკაბაძესა და ლ. გუდიაშვილთან ერთად. და ბოლოს, საკუთარი ვერნისაჟი პიკასოს წინასწარმეტყველური შეგონებით — „მხოლოდ ეს ხატე!“

საქართველოს სამხატვრო აკადემიას, აკადემიური გაგებით, 1922 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ათობით მხატვარი გამოუზრდია...

სკოლა ყველაფერს როდი წყვეტს.

ვეღარ გავიგებთ, რატომ იყო, მაგრამ ელენე ახვლედიანი შემდგომშიც ერიდებოდა აკადემიას, თუმცა მისთვის დაჟინებით და არაერთგზის შეუთავაზებიათ კლასი აიყვანეთო. მოკლედ და უმალ უპასუხებდა: „მხატვრებს ვერ ვასწავლიო“. და მაშინვე დასძენდა: „ვიცი, ტექნიკას უნდა ვასწავლიდეთ. არ კმარა თვითონ შეგეძლოს ხატვა, სხვების სწავლების უნარიც უნდა გქონდეს, როგორც ამას შუხაევი ამტკიცებდა, მაგრამ არ შემიძლია. კი, თქვენ ამბობთ, რომ ბავშვებს თავს ვუყრი ხოლმე, ვცდილობ, წავახალისო მათი ნიჭი, ვაწყობ გამოფენებს. დიახ, ყველაფერი ასეა. მაგრამ ხატვაში ვერ დავეხმარები. იმიტომ კი არა, რომ არ ძალმიძს შენიშვნა მივცე. მეშინია, ვაი რომ დავაფრთხო...“

პირველი დამოუკიდებელი სკოლა იყო ბრეიგელის შემოქმედების ჩაძიებული მხატვრული ანალიზი. უთქვამს: „კახეთი, ზამთარი“ ბრეიგელის შემდეგ დავხატეო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახვლედიანი პარიზშიც თავის საქართველოს ხატავდა. იხსენებდა მას არა სიუჟეტურად, საკუთარ თავში ემოციურად ეძებდა ტიპიურს. აქ მთავარი იყო ეთნოგრაფიული მონაცემი კი არა, არამედ განცდილ სახეთა წყება.



ელენე ახვლედიანის უკანასკნელი ფოტოსურათი.

ალექსანდრე საავოვის ფოტო.

# ელენე ახვლედიანი

, ამბობენ, პეიზაჟი მის მიერ რომანტიზირებული ნატურაა. ეს ასეა განწყობის გამის მხრივ. განსაკუთრებით ბოლო ტილოებში (თვითონ მიაჩნდა, „ადრე უკეთ ვხატავდიო“). მაგრამ მთავარი ისაა, რომ წლებს მოჰყვა სისადავე და სიმსუბუქე. ეს ის სისადავეა, სიბრძნისაგან რომ წარმოდგება. და თუ 1928 წელს მარჯანიშვილის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევართა ხაზგასმული დეკორატიულობა და ამიტომაც მიიწვია ქუთაისის თეატრში, მოგვიანებით, შესაძლოა, მის ნიჭს ჭეროვნად კი დააფასებდა, მაგრამ თეატრისთვის ახვლედიანს ვერ აღმოაჩენდა. გვიანდელი ახვლედიანი ხალასი ფერწერაა.

დავიწყებას მიეცა ბრეიგელი, ნოვატორი კოლორისტი კაკაბაძე, გუდიაშვილის ნატიფი მოტივები, მომხიბლავი ფიროსმანი, რომლის ესთეტიკური ათვისება დიდხანს იყო ხელოვნებათმცოდნეების ყურადღების ცენტრში ქართული მხატვრული აზროვნების ტრადიციის დადგენა-შესწავლისას.

სისადავე პრიმიტივს როდი ნიშნავს. პრიმიტივი ქვეცნობიერი სისადავეა, რომელიც სტილი, პროგრამა არ გახდარა. თუ კი პრიმიტივიზმი პროგრამადაა აღიარებული — ეს უკვე პრიმიტივისტული სკოლა, სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებაა. მაგალითად, ფიროსმანის პრიმიტივიზმი, გაუწაფავი თვითმყოფადია. ეს არის მისი, როგორც პირველქმნილი, ბუნებრივი მოვლენის ღირებულება. ახლა ახვლედიანისეული ქალაქებისა და პეიზაჟების სისადავის შესახებ; დაძაბულრიტმიან გრაფიკულობას და დეკორატიულობას ცვლის სისადავე — ძიება არაიოლი და არაშემთხვევითი მისი შემოქმედებითი კონცეფციისათვის. 1924 წელი — „კახეთი. ზამთარი“ და 1969 წელი — „ზამთარი თბილისში“. სპეციალურად ავიღე პირობებისა და თემის მიხედვით ადეკვატური ამოცანები. ამ ორ ქმნილებაში ამოკითხე ორი ხელწერა, ორი განსხვავებული მანერა, ორი სხვადასხვა ხელი, ნატურისადმი ორი სხვადასხვა ადამიანის დამოკიდებულება. ორი ურთიერთგამომრიცხველი პოზიცია. პირველ „ზამთარზე“ უკვე ვთქვი. მასა და მეორე სურათს შორის განვლილ ორმოცდახუთწლიან გზაზე გზაჯვარედინებიც და ჩიხებიც შეხვდა. „ზამთარი თბილისში“ აღსავსეა სისადავის საოცარი სურნელით; ადამიანთა პატარა ფიგურები მხოლოდ ფერების აქცენტია; დათოვლილ სახურავთა რიტმი მშვიდია და გართულებული არ არის, როგორც მის პირველ ნამუშევრებში, სადაც ეს უშუალო ამოცანა იყო; ხეები განამტკიცებენ კომპოზიციას. ყველაფერი ზომიერადაა.

და აქვე, ტილოზე, სადაც ადგილი არ რჩება ჰაერს, ცას, სადაც დიდი ფართობის (89X60) ოთხი მეხუთედი სახლების მძიმე მოცულობას უკავია, საიდანღაც ლაღად იჭრება სივრცე. პირველი თოვლის ზღაპრული სურნელება და საერთო-საზეიმო განწყობილება. მაინც საიდან? ამას ქმნის მხოლოდ და მხოლოდ ერთი მაგიური ხერხი — სახლების კედლებს დაჰკრავს ათინათინის არარეალური ზურმუხტოვანი სიმწვანე.

შემოქმედებითი გზა შეიძლება მთაგრეხილად წარმოვიდგინოთ, რომელიც თავისთავად ზემოდან დაჰყურებს ყოველდღიურობას, მაგრამ აქვს თავისი ღრმულები და თხემები, ციცაბო ფლატეები და თავბრუდამხვევი აღმართები, ზოგჯერ მიუვალი, მხოლოდ თვალისთვის მისაწვდომი მწვერვალები. ალმა მიმავალს, რომელიც ხიფათს არ ერიდება იდუმალი მიზნის მისაღწევად, ვერ გაუგებთ, თუ არ შევიცანით დაძლევის სიხარული. მწვერვალი თვითმიზანი როდია, მიზანია მიუწვდომლობის დაძლევა.

ელენე ახვლედიანის შემოქმედებას თავისი მწვერვალები აქვს. ჩემი აზრით, ეს არის დაჭიმული სიმის ელვარებამდე გაპოეტურებული თბილისი. ძველი ტფილისი, რომელსაც მხატვარი მგრძნობიარედ ემშვიდობება („მაიდანი“, „ლვინის ალმართი“) და თბილისი, რომელსაც დღეს ვიცნობთ.

ვიცნობთ კი? თუმცა მთელი ცხოვრება აქ გავატარე, თბილისში მხოლოდ მაშინ მოვხვდი, როდესაც ახვლედიანის ნახატების გარემოცვაში აღმოვჩნდი. სწორედ აქ, ახვლედიანისეულმა „რასაც ვხედავ“ აღმომაჩენინა ის, რასაც ყველა ხედავს, რასაც თვალი შეეჩვია ბევრ სხვა სურათში, დაძლეულია ყოველდღიურობა; მისი დაძლევა იოლი არ ყოფილა.

„წარმავალი თბილისი“ 1927-ში დაიხატა. ავტორი 26 წლისაა. იქნებ იმიტომ, რომ ახალგაზრდისათვის უცხოა ნოსტალგია, იქნებ იმიტომ, რომ მხატვარს არ ახასიათებს ნაზი სევდა, ასეა თუ ისე, ძველი თბილისი (მისთვის უზომოდ ძვირფასი), რომელიც თითქმის მუზეუმად ქცეულა (იქ დაგვყავს ხოლმე გაოგნებული ტურისტები), ამ ტილოზე მელოდრამატულად არ არის წარმოსახული. დაისის ბინდგადაკრულ ძველ კუთხეს აივნების შავი წამწამები დაუხრია და თვლემს, ხოლო სახურავებს ჭერ კიდევ შემორჩენიათ დღის მხურვალება. ჩამავალი მზის ალერსი. აქ დასადგურებულა სითბო და ღიმილი, სიკეთე და შემწყნარებლობა.

ეს სითბო, რაკი ერთხელ ეზიარა მას, მხატვრის პალიტრას ბოლომდე შემორჩა, მუდამ თან სდევდა და ყველას უნაწილებდა.

ახვლედიანის შემოქმედებაში განცალკევებულად დგას ინდუსტრიული თემა. ამით მან ხარკი გადაუხადა დროის რიტმს, ასე მძაფრად რომ გრძნობდა. ორთაჭალჰესის, სამგორის სარწყავი არხის მშენებლობამ გაიტაცა. ასეთი სამუშაო მისთვის ახალი იყო. კეთილსინდისიერად მუშაობდა, გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა დეტალებს. „განვცვიფრდი, როდესაც ზოგიერთი ჩემი კოლეგა იქ ფოტოკამერით გამოცხადდა. ჩაატკაცუნეს და უკან გაბრუნდნენ. შემდეგ კი გაზეთებში გამოჩნდა სოლიდური ნახატები მათი ხელმოწერით“.

ყველა თავისებურად იმკვიდრებს ადგილს ცხოვრებაში. სიმპტომატურია, რომ დაჟინებით ამ პერიოდში ოფიციალურმა კრიტიკამ მხოლოდ მიიჩნია აღენიშნა: „ახვლედიანი თანდათან თავს აღწევს ფორმალიზმს“.

მე ვიცნობ მხატვრებს, რომლებსაც არაფერს ეკურებოდათ მოარულები. ისინი ყველგან და ყოველთვის ასწრებდნენ მომარჯვებული ფოტოაპარატით. დღეს მათ არავინ იხსენებს. თითოეულს მიეზღო ის, რაც დაიმსახურა..

ხელოვნება ცხოვრების წყობაა.

ელენე ახვლედიანს უყვარდა თავისი ნამუშევრები, მაგრამ ხშირად კედლიდან ჩამოიღებდა ხოლმე. მისთვის ხელოვნება გაცილებით უფრო ფართო ცნება იყო, ვიდრე საკუთარი შემოქმედება. იგი სურათებს კედლიდან ხსნიდა მათი გულისათვის, ვისაც ეს ასევე ესმოდა. პროფესიონალებსა და მოყვარულებს, მის მომხრეებს და კრიტიკოსებს, მხატვრის ყველა თანამედროვეს არ დაავიწყდება ვერნისაჟები ახვლედიანის სახელოსნოში. აქ მოხდა ბევრი ახალგაზრდა ტალანტის საგამოფენო დებიუტი. აქ, ბავშვთა გალერეის შექმნამდე დიდი ხნით ადრე, შემოქმედების სიხარული შეიგრძნეს ბავშვებმა. აქ აღტაცებული გულუბრყვილობით კიდებდა თავის სამხატვრო ოპუსებს დიდებით განებივრებული რიხტერი.

აქ ყოველთვის შემოქმედების ატმოსფერო იყო. მუსიკალური სალამოები. ლია კარის სალონი, სადაც თავიანთი ხელოვნების ჩვენება დიდ პატივად მიაჩნდათ რიხტერს, ნეიგაუზს, ელისო ვირსალაძეს, მარინე იაშვილს, მარინე მდივანს... მსახიობები ლექსებს კითხულობდნენ. მსმენელები ფანჯრის რაფებზე, კიბეზეც კი ისხდნენ. ხელოვნების მთრთოლვარე ცეცხლით მოგიზგიზე ელენე ახვლედიანის კერა ყოველთვის ენთო მისი მეგობრებისათვის..

გამიკვირდება თუ ოდესმე მის შესახებ წავიკითხავ:

„...გავლენა მოახდინა... შეასრულა მნიშვნელოვანი როლი...“, ერთი სიტყვით, რაღაც ამგვარს ბიოგრაფთა პანთეონისტური არსენალიდან. რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის მემკვიდრეობა განმსაზღვრელ შეფასებას არ იმსახურებს, არა, უბრალოდ მას მიაჩნდა, თუ კი ხელოვნება ვიცმუნდირში გამოეწყო, მან უკვე ამოსწურა თავისი თავი.

**იური მოსაშვილი**

# თითქმის დაუჯერებელი

● ლონდონის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში ამერიკელი მუსიკოსი ბელანტ ვაშონი როიალზე უკრავდა... ათი საათის განმავლობაში.

● ამერიკელმა ფსიქიატრმა ალფრედ მ. ბლოკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 1975-76 სასწავლო წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მოსწავლეებმა სცემეს 63.000... მასწავლებელი.

● ინგლისის ერთ-ერთი გაზეთი იუწყება, რომ ესპანელმა მეძავებმა გადაწყვიტეს დააარსონ თავიანთი პროფესიონალური კავშირი, რომელსაც დაარქმევენ „საყვარლისთვის მშრომელთა გაერთიანებული პროფკავშირი“.

● ერთმა ინგლისელმა ფერმერმა იხუმრა და ძროხებს ბოსელში დაუდგა... ტელევიზორი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: ძროხებმა მეორე დღეს მნიშვნელოვნად გაზარდეს წველადობა.

● ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო დაკვირვებით დადგინდა, რომ თამბაქოს მწეველები, რომლებიც ავტომანქანის საჭესთან ზიან, 2,5 -ჯერ უფრო მეტ ავარიებს ახდენენ, ვიდრე არამწეველები.

● ჩვენ პლანეტაზე ამჟამად 370 მილიონზე მეტი ტელეფონია. ყოველ წუთში დედამიწაზე საშუალოდ 20-მდე ახალი ტელეფონი იდგმება.

● მოსკოვში 2 მილიონზე მეტი ტელეფონი მუშაობს. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაცილებით მეტი ტელეფონია, ვიდრე მთელ ავსტრალიაში (1.300.000), მთელ საბერძნეთში (1.600.000), მთელ ინდოეთში (1.900.000).

● დედამიწაზე უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება მილიონიანი ქალაქების რაოდენობა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მხოლოდ 11 ქალაქი იყო მილიონზე მეტი მოსახლეობით. 1960 წელს — 45 ქალაქი. შარშან კი მათმა რიცხვმა მიაღწია... 200 ქალაქს.

● ექიმებმა ვერაფერი უშველეს. ინგლისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიყვანილი 18 წლის ქალიშვილი სიკვდილის პირას იყო მისული. როცა სამედიცინო დამ მარშა მეიტლენდმა წამოიყვირა: „უშველეთ, ქალიშვილი ქიმიური ნივთიერებით არის მოწამლული!“

დიაგნოზი გამართლდა. მომაკვდავი ქალიშვილი რამდენიმე დღის შემდეგ ფეხზე დადგა.

— დიაგნოზის დასმაში ცნობილმა დეტექტივისტმა აგატა კრისტიმ მიშველა, — განაცხადა მარშა მეიტლენდმა. — ერთ-ერთ ნაწარმოებში მას ზუსტად აქვს აღწერილი ქიმიური ნივთიერებით მოწამლული ადამიანის სიკვდილი.

## უცხოური იუმორი

ზჯისლავ გოზდავა,
ვაცლავ სტეუპენი

# უწყისი

მაშასადამე ასე... საგამომძიებლო განყოფილება, 121-ე ოთახი, თერთმეტის ოცი წუთია... დიახ... ეს ხომ მათი ფსიქოლოგიური მეთოდია: შეაშფოთონ ადამიანი. რას ვიზამთ?! უნდა ავიტანოთ!

რა უნდათ ჩემგან?! ჰმ, მოიცა, მოიცა... იქნებ, ოსტაშევსკია მეორე სართულიდან? ორი სიტყვა ვუთხარი კიბეებზე... იქნებ ძალიან უკმეხად მომივიდა... მეზობლებმა ნამდვილად გაიგონეს, შეეძლო შეეტყობინებინა ყველასთვის, მოწმეებად წამოსულიყვნენ. ეშმაკმა იცის, ვინ არის? არა, არა, ეს წვრილმანია. ასეთ შემთხვევაში მოდის რწმუნებული, აფორმებს ოქმს, მერე წყდება დასკვნით კოლეგიაზე, მაგრამ არა აქ! არა, არა, ეს რაღაც უფრო სერიოზული უნდა იყოს, უფრო მნიშვნელოვანი!

არ ვღელავ, არა! აბა რა, ორი ვაგონი ცემენტისთვის?.. ეს შეუძლებელია! სამი წელი გავიდა... ბოლოს და ბოლოს ეს ისე იყო მოწყობილი, ბუზიც კი არ მიკარებია... თუმცა ზოგიერთი რამ ათეული წლების შემდეგ გამოჩნდება ხოლმე. ვიღაცას რაღაც ქაღალდი შეხვდება და დაიწყება ქექვა, ძებნა და ეშმაკმა უწყის! ტყუილად მივეცი მაშინ ოლკას ხელმოწერილი ბარათი. ადამიანმა ყოველთვის რაღაც სისულელე უნდა ჩაიდინოს! იქნებ, ოლკა დაიჭირეს?! ბოლო ხანებში რაღაც არ ჩანს... ყველაფერი შესაძლებელია! არა, ოლკა არ გამცემდა. ბავშვობის მეგობარია. ბოლოს და ბოლოს დღეს არავის არ უნდა ენდო.

წავშლი ყველაფერს და ეს არის. კი მაგრამ ხელმოწერა? გამოვიძახებ გრაფოლოგს და გათავდება საქმე. და კიდევ მე დავუმატო ცრუ ჩვენებებს? მაგათთან ვერ იხუმრებ! უკვე ნახევარი საათია... წყნარად, წყნარად.

...გავაბოლოთ პაპიროსი... ოო, ხელები მიკანკალებს, ეს არ არის კარგი. საჭიროა რაიმე წვეთების მიღება. არა უშავს. თავს ვიკავებ! ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება. კვირას ვლადეკის დაბადების დღეზე მივდივარ, მხიარულად ვიქნები, ცოტას დავლევ... ისე, როგორც შარშან... რამდენი დავლიე მაშინ... ო, როგორ ვიმხიარულე!...

რამდენი წელი შეუძლიათ მომცენ იმ ცემენტისთვის? ბევრი, ბევრი ორი. მერე მე რა? მე პეშკა ვიყავი.

ორი წელი ელვის სისწრაფით გაივლის, ექიმმა მე ისედაც დიეტა დამინიშნა. ცოტა ვხდები — ეს კარგია ჩემთვის. ბოლოს და ბოლოს, ციხეც ხალხისთვისაა. ოდესღაც უარესი იყო. მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლიდან ვინმე ლუკასინსკი! კანდელებში, ყავარჯნებით ხელში.

ზოსკა მართალია, საჭიროა თბილი თეთრეულის წამოღება. მაგაზე არ მიფიქრია. მზე ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ, ერთი თვის შემდეგ შეებულება, ზაკოპანები, დავლევ ცოტას...

რატომ მაინცდამაინც ის საქმე უნდა იყოს? სისულელეა! აბა, რა შეიძლება იყოს? შესაძლოა ის ხუთი ათასი, რომელიც იმ ტიპისაგან ავიღე? ბოლოს ხომ ჩავუწყე საქმე. მისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა იყო. ხალხმა ამაზე არ იზარალა. უნდოდა და მომცა, რომ არ ნდომოდა, არ მომცემდა... არა, ეს შეუძლებელია. ამის შესახებ არავინ ჩვენს გარდა არ იცის, ის კი არავითარ შემთხვევაში არ გამცემდა. ზოგჯერ საქმე თავისით იხსნება, არ არის გამორიცხული...

არ მივვაქვს გულთან ახლოს. ვიღაცამ რომ გვნახა ერთად „ბრისტოლში“ არაყზე?. მერე რა? არა მაქვს უფლება არაყი დავლიო?!

რატომ მაკავებენ აქ ასე დიდხანს? და ეს ნერვებმომშლელი სიჩუმე ამ კარებს მიღმა?! „მოიცადეთ, ბატონო, გამოგიძახებენ“. რამდენ ხანს შეიძლება ლოდინი? დიაახ... უდაოდ ჩამაგდებენ შეკითხვების ქარცეცხლში: ერთს აქ, მეორეს იქ, მესამეს კიდევ აქ, მე კი რა შუაში ვარ, არ ვიცი. ნათურას პირდაპირ თვალებში შემოგანათებენ და დაამღერე რაც იცი! ვნახე ასეთი სცენა ერთ ფილმში. ოღონდ არ გატყდე სალანძღავი სიტყვებით! ყველაფერზე — არა და არა! არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, არ ამილია! ეს არც ისე ადვილია. მათ ხომ თავისი მეთოდები აქვთ შემუშავებული, შესძლებენ გამოგტეხონ, გათქმევინონ ყველაფერი. უმჯობესია, მაშინვე აღიარო: ასე და ასე, ასე, ასე, შევცდი, ვნანობ... ცოლი, შვილები,... მეტს აღარასოდეს აღარ ვიზამ. არა, ამას აზრი არა აქვს. განა მათ ეს აღელვებთ? მათ ხომ არ გააჩნიათ შეცოდების გრძნობა. მაგრამ თავი გაბედულად დაიჭირე! აბა გაბედულად!

კარგია, რომ ზოსკას ფული აქვს, აიყვანს კარგ ვექილს... იქნებ, მასლანკო დათანხმდეს?! მაგრამ ჯერ არ ვფიქრობ ამაზე.

რატომ ვკანკალებ ასე? უკვე რამდენი სხვადასხვა სიტუაცია იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს ასე არ მინერვიულია, როგორც დღეს. სულაც არ ვწუხვარ. იქნებ თავდებში გამიშვან?!. გამიშვებენ?! ასეთ რაღაცეებზე ადვილად არ უშვებენ.

ოჰო, სინათლე ჩაქრა. მაგრამ არა უშავს, ავიტან, იქნებ უკეთესია წინასწარ? ჯერ-ჯერობით სიწყნარეა... ასეა. ვუსმენ ბატონ კომისარს. ლევანდოვსკი ვლადისლავ... აქ არის გამოძახებული. ბატონო?... რომ შეცდომით ვარ გამოძახებული? აჰა, სხვა ლევანდოვსკის შესახებ არის?! ასე ვთქვათ... არა უშავს შიში რომ ვჭამე?.. კი, მაგრამ საიდან? ადამიანს სუფთა ხელებით არაფრის არ ეშინია, ბატონო კომისარო!

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ

## იშვიათი შემთხვევა

ეს ამბავი ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა ხარკოვში.

საპროტეზო, ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში მეტად მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს 38 წლის ანა ლ.. მარჯვენა ხელი მას იდაყვთან თითქმის მთლიანად ჰქონდა მოგლეჯილი.

ინსტიტუტის ექიმებმა ავადმყოფს სასწრაფოდ გაუწიეს პირველი სამედიცინო დახმარება, მოწყვეტილი ხელი ჩამოაშორეს სხეულს და მაცივარ კამერაში შეინახეს.

ექიმებმა ოპერაციის სასწრაფოდ გაკეთების გადაწყვეტილება მიიღეს. ავადმყოფი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საერთო და გადაუდებელი ქირურგიის ინსტიტუტში, ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებიდან სახელდახელოდ შემოიკრიბეს საჭირო სპეციალისტები და ოპერაციის გაკეთება დაიწყეს.

ექვსი საათი თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა ექიმები. ექვსი საათის განმავლობაში ისინი საჭირო ნივთიერებებით ამუშავებდნენ ხელს, დაუჟანგავი ფოლადისგან დამზადებულ იდაყვის ხელოვნურ სახსარს სვამდნენ. ადგილზე კერავდნენ მხრის არტერიას, ნერვებს, ქსოვილებს, კანს...

ოცი დღის შემდეგ საოპერაციო ნაკერები ამოიღეს. მოხდა სასწაული! რამდენიმე საათის განმავლობაში სხეულიდან მთლიანად მოწყვეტილი ხელის ნაწილი, რომელიც ექიმებმა ისევ მიაკერეს სხეულს, მთლიანად გაცოცხლდა, აღსდგა სისხლის მიმოქცევა და იდაყვის სახსარში ნორმალური მოძრაობა.

ყოფილი ავადმყოფი თავს ამჟამად კარგად გრძნობს.

## საგულისხმო სტრიქონები

- რაც გააშიშვლე, ველარ დაფარავ.
- დაგუბებული ძალა კალაპოტს აღრმავებს.
- ძალას მაშინ გრძნობ, როცა გიმძიმს.
- დახლართული გორგლიდან ყოველთვის არ ამოეხვევა ძაფი — უნდა გაწყვიტო.
- პატარა წყარო ნიაღვარში იკარგება.
  ნიაღვარი ქრება, წყარო რჩება.
- გონება უმიზნებს, სიტყვა გმირავს.
- განდიდების თვისება სიღარიბის ნიშანია.

სიდონია გულისაშვილი.

## „დროშის“ № 8-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ტრაქტატი; 6. პუანსონი; 9. სპრინტი; 10. სტვირი; 11. სტენდი: 15. კომენტარი; 17. აფენი; 18. ფერმა; 19. ბალანსი; 20. კაპრონი; 24. კულტი; 25. ქსანი; 26. ორბელიანი; 29. „მინდია“; 32. შტამპი; 33. ბამბუკი; 34. ანტრაქტი, 35. ანტურაჟი.

შვეულად: 1. ექსტრა; 2. ეტაპი; 3. ხუნტა; 4. ასკეტი; 5. „ტარტიუფი“; 7. იპოდრომი; 8. დიკენსი;; 12. კომანდორი; 13. ტრამპლინი; 14. ანტანტა; 16. ბერნესი; 21. სუბსიდია; 22. კოლუმბი; 23. ანტიპოდი; 27. ჩინარი; 28 მტვერი; 30. ვახტი; 31. აკინი.

გარეკანის პირველ გვერდზე: სკოლისაკენ: ბონდო დადვაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 8/VIII-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 51860 შეკვ. 2537 უე 00803 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გემრიელი ყურძენი.

40

ალექსანდრე სააკოვის ფოტო.



დოღი მთაში. თარხან არჩვაძის ფოტო.

ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა